

საპარტიზო



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყვას, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანსობაჲ უსამაგლესია.



რეპრეზენტატივა

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

პარასკევი-კვირა, 24-26 დეკემბერი. 2021 წ. №217 (9336) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ეს არ არის პოლიტიკური პარტიების პროცესი, ეს მთელი საზოგადოების ამოქანაღია!

**სალომე ზურაბიშვილი: დღეს კობა დავითაშვილი რომ ამ ყოფილიყო,
დარწმუნებული ვარ. ის პროვინული თანხმობის პროცესის**



**ამ წამოწყებაში ჩემ
კვირდით იმნებოდა!**

სოდეს არ არის მიღწეული ბო-
ლომდე და ყველაფერი, პირველ
რიგში, დამოკიდებულია ადამი-
ანებზე, პიროვნებებზე და სწო-
რედ ეს ძალიან გვაკლია დღეს.
რაც დრო გადის სამაგალითო
პიროვნებები, რაღაცნაირად ხე-
ლიდან გვეცლება, ეს ახალი თა-
ობისთვის ძალიან დიდ პრობლე-
მას წარმოადგენს და მე მინდა
გითხრა, რომ თქვენ გაქვთ ეს
უპირატესობა, რადგან მამათქ-
ვენი თქვენთვის ძალიან დიდი მა-
გალითია და შეგიძლიათ ამით
იამაყოთ.

საპარტიზოს პრეზიდენტი-
მა, რომელმაც 7 ნოემბერს კობა
დავითაშვილი სიკვდილის შემ-
დეგ ღირსების მედლით დაა-
ჯილდოვა, სახელმწიფო ჯილ-
დო კობა დავითაშვილის ოჯახს
გადასცა.

„ჩემთვის ეს დღე ძალიან მნიშ-
ვნელოვანი და ძალიან ემოციუ-
რია, რამეთუ დღეს ჩვენი გვინდა,
რომ პატივი მივგავთ ადამიანს,
რომელიც ისტორიული ფიგურა,
ჩვენი მეგობარი და თანამებრ-
ძოლი იყო.

მე ძალიან მინდოდა, რომ და-
ჯილდოების დღე ყოფილიყო
მაშინ, როცა საზოგადოების იმ
ნაწილთან მექნებოდა შეხვედრა,
რომელიც იმ პერიოდის მსხვერ-
პლია, რომლის იარები ჯერ არ
არის მოშუშებული და საჭიროა,
სხვანაირად დავასრულოთ ჩვენი
ისტორიის ეს ფურცელი.

იხ. 2 გვ.

წინასასაზღვრო გულახდილი საუბარი ელჩებთან



**საპარტიზოს პრაიმიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა
საზღვარგარეთ საპარტიზოს დიპლომატიური
კორპუსის წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა**

დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენ-
თვის. მინდა, ბატონ მინისტრს, დავით ზალკალიანს გა-
დავუხადო მადლობა და მთელს თქვენს შემადგენლო-
ბას, ყველას, ვინც ჩართული ხართ ჩვენი ქვეყნის
გაძლიერების საქმეში. დღევანდელი ჩვენი ვირტუა-
ლური შეხვედრაც მონაშობს, რომ დღეს მართლაც
ვცხოვრობთ განსხვავებულ, გლობალური პანდემიის
გამო მნიშვნელოვნად შეცვლილ რეალობაში. ვითვა-
ლისწინებთ ამ რეალობას და სამწუხაროდ, ფიზიკუ-
რად არ მოგვეცა შესაძლებლობა, ეს შეხვედრა ჩაგვე-
ტარებინა.

ბუნებრივია, ჩვენ ძალიან რთული პერიოდი
გვექონდა, ბოლო ორი წელი პანდემია გაგრძელ-
და და თქვენ გინევდათ მუშაობა ვაქცინებისა და
სამედიცინო აღჭურვილობის მოძიებასა და მი-
წოდებაზე, დედამინის სხვადასხვა კუთხეებში
დარჩენილი ჩვენი მოქალაქეებისთვის საგანგებო
ფრენების ორგანიზებაზე, ყველაფერზე, რაც

იხ. 6 გვ.

რეზოლუცია

და ვითხოვ სიტხოს, მხოლოდ სიტხოს და არა ხანძარს!



მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით!!!
ზედახნის გზაზე გაიტანა მანქანამ შეველი
და ასკილებმა აპრილამდე ჩაიცვეს ძაძა,
მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით
და ვითხოვ სიტხოს, მხოლოდ სიტხოს და არა ხანძარს!
აივნებიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი:
უცხო მხატვარი ყაისნადით გაზაფხულს ბაძავს,
და ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით
და ვითხოვ შეველას, ვითხოვ შეველას და არა ხანძარს!!!
მამულთ ჩემო, ვერ დაგატყვევ შრომა და გარჯა,
მიტომაც, ბუდი მასწრად მიგდებს ბუბერს და არჯალს,
ცოტალა დარჩა, ალბათ, ცოტა ზიარებადუ,
თავად ჩავტოვებ ნუკებს შუა შხამიან ხანჯალს.
მადლობელი ვარ, რაც იყო და ის რაიც დარჩა,
აღარ ვაპირებ წუთისოფლის კარებთან ჩანჩალს,
მორჩა ნაპირი, იქნებ იგი ნაპირიც არ ჩანს,
მაშ, ეს ცნოვრება ხატი იყო, თუ მხოლოდ ხარქა?!
აივნებიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი:
უცხო მხატვარი ყაისნადით გაზაფხულს ბაძავს
და ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით
და ვითხოვ შეველას, ვითხოვ შეველას და არა ხანძარს!!!
16 დეკემბერი, 2021 წელი.


ქართულთა მეგობარი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი - გზად და ხილად ③



გულწრფელად თქმული

გოგლა ლეონიძე:

გული მაქვს გულთან ⑦ დაჯახებული...





კობა დავითაშვილის ოჯახთან

ეს არ არის პოლიტიკური პარტიების პროცესი, ეს მთელი საზოგადოების ამოქანაღია!

პროცესი ბეგრადიან ეროვნული თანხმობის ის პროცესი, რომელიც ჩვენი ინიციატივით იწყება უაღბლოდ და აუცილებელია ამ ძველნიშნის, თუ მისი მომავალი გვადარდებს და გვაინტერესებს.

ეს პროცესი უთქვენოდ არ იქნება და ეს არ იქნება არავითარ შემთხვევაში თქვენი დავიწყებით. ამავე დროს, ეს არ არის რაღაც სტერილური რეჟანის დაწყება, იმიტომ, რომ ამ ქვეყანას ამის რესურსიც ალარ გააჩნია.

ჩვენ უნდა მოვინახოთ ის ოქროს შუალედი, რომელიც იქნება სიმართლის დადგენა და რაც ყველა ქვეყანას და ყველა თაობას სჭირდება. ჩვენ თუ არ ვიცით რა არის სიმართლე, რა არის ჩვენი ისტორია, მაშინ წინ ვერ მივდივართ და საქართველოს პრობლემა არის ის, რომ ჩვენ, ჩვენი ისტორიის ბოლო სამი საუკუნის არცერთ ფურცელზე არ გვაქვს შეთანხმებული გაგება და გააზრება. და მე ვარ ამის ნათელი მაგალითი: ალვიზარდვი იმ ემიგრაციაში, სადაც ნახევარი თვლიდა, რომ მეორე ნახევარმა დაკარგა საქართველო

— და დღესაც არ ვიცით, ვისი რა წვლილი იყო ამაში, რაც შეიძლება გარდაუვალი იყო, ან არ იყო. ანუ, ამ ყველაფრის ზუსტი შეფასება არ არსებობს, შემდეგი პერიოდებიც ასეთივე ბუნდოვანებითაა მოცული და ყოველ ჯერზე დაპირისპირების საგნადაა ქცეული, რადგან ჩვენ არ მივდივართ ამ გააზრების პროცესის ბოლომდე, რომელიც მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი პროცესია.

ეს პროცესი მოიცავს სიმართლის რაღაც დონეზე დადგენას, ეს არ არის რაღაც მითიური გაერთიანება, მითიური შერიგება, ამ სიტყვას ხშირად იყენებენ, მაგრამ ეს არ არის მისხარება და ხმარობა უფრო იმისთვის, რომ დაუმტკიცონ საზოგადოებას, რომ შეუძლებელია. ეს პროცესი ეკუთვნის საზოგადოებას, ეს არ არის პოლიტიკური პარტიების პროცესი, მათ ეძებათ თავიანთი ადგილი ამ პროცესში, როცა ამის დრო მოვა. ამ თუ მსგავსი დღეს პირველ რიგში პოლიტიკურ პარტიებს, ეს იმისთვის, რომ მათ ავუსხან ეს, რომ არ ვპაპირებ, ვეცა-

დო მათ შორის მივადნო რაღაც შერიგებას. მი რაღაც სიტყვისა და გარკვეული ნდობის გარდა არანაირი სხვა რაღაც არ გამოვიტყვებ.

მე ვაპირებ, რომ საზოგადოებისგან წამოსული ძლიერი მოთხოვნა იყოს ის მიმართულება, რაც შემდეგ ეტაპებზე პოლიტიკურ პარტიებს აიძულებს გაითვალისწინონ, რაც ამ საზოგადოების დღევანდელი განწყობაა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, რომ ასე დაპირისპირება არ შეიძლება, რომ ეს პოლარიზაცია მხოლოდ ჩვენ გვაწევებს და გვასუსტებს.

ამ ყველაფრის თქმა მინდოდა სწორედ დღეს კობა დავითაშვილის დაჯილდოებაზე.

ის იმ პერიოდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, და დღეს რომ აქ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ის ამ წამოწყებაში ჩემს გვერდით იქნებოდა, რომელიც ვიცი, რომ რთული, გრძელვადიანი და რისკიანი და არ ვარ დარწმუნებული, რომ მივალწვე შედეგს, მაგრამ ერთადერთი რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ამ პროცესზე მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი და შემდგომ თუ რამე არ გამოვიდა, არავის ბრალს არ დავდებ.

თქვენ კი, მხნეობას, გამძლეობას და კობა დავითაშვილის ღირსად ყოფნას გისურვებთ, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

კობა დავითაშვილის მეუღლემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, კობა დავითაშვილის თანამებრძოლებს, მეგობრებსა და ქართველ ხალხს, მისი გულშემატკივრობისთვის, გამხნევებისა და იმედისთვის, რომელიც მას სიცოცხლისა და უკეთეს ქვეყანაში ცხოვრების ძალას აძლევს.

„კობა აქტიურად ჩერთო 1988 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ყველაწინააღმდეგობადა თავისი კომპეტენცია, თავისი განათლება გამოიყენებინა ქვეყანაში საკანონმდებლო სივრცის განვითარებისთვის. შემდეგ, სამწუხაროდ აფხაზეთის ომი დაიწყო და იყო აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მონაწილე. შემდეგ წარმატებული საადვოკატო კარიერა მიატოვა და დადგა ქვეყნის სამსახურში. იყო ოთხგზის მოწვევის პარლამენტის წევრი, ორჯერ იყო თბილისის საკრებულოს წევრი, და ცდილობდა, რომ უკეთესი ქვეყნისთვის, უკეთესი ბაზა შექმნა.“

სამწუხაროდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ის იძულებული გახდა ოპოზიციაში გადასულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ იყო თვალთვალი, ზენოლა, თავდასხმები მაინც მოახერხა, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლა კანონის ჩარჩოდან არ გამოსულიყო.

მე ყველაზე დასაფასებლად სწორედ ეს მიმაჩნია დღეს. იყო კანონმორჩილი მოქალაქე და ჩემი შვილებიც როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები ისე აღზარდა და მე ამით ძალიან ბედნიერი ვარ დღეს“, — განაცხადა ინგა ბინაძემ.

ქალი დებანნი: სალომე ზურაბიშვილის ქალისხმევა ყველაშრივ მხარდაჭერილი უნდა იყოს, რათა შეთანხმების მიღება მოხდეს, მოეუნოვებ ყველა მხარეს, პროცესში მონაწილეობა მიიღოს



საპარტეზლოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ძალისხმევა ძალიან მნიშვნელოვანია.

„საქართველოსთვის ამ რთულ დროს, რაც საზოგადოების დაყოფის შეჩერებას გულისხმობს, პრეზიდენტ ზურაბიშვილის ძალისხმევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მისი ძალისხმევა მხარდაჭერილი უნდა იქნას ყველაშრივ, რათა მოხდეს შეთანხმების მიღება საქართველოს წინსვლისთვის.“

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ამ დროს, როცა სტაბილურობა, უსაფრთხოება ასეთი საჭიროა. მე ყველა მხარეს მოეუნოვებ, მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. როგორც ვიცი, ჩართულნი არიან როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოება, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და ყველა საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრები არიან. მათ ყველას აქვთ საკუთარი ხმა, რათა შეაჩერონ საზოგადოების დაყოფის პროცესი“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და პრეზიდენტის კარგად არის მომზადებული, რომ პოლიტიკურ მხარეებს შორის კონსენსუსს ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწიოს.


„ვფიქრობ და ყველა ვხვდებით, რომ ეს პროცესი ერთ და ორ დღეში არ დასრულდება. პრეზიდენტის კარგად არის მომზადებული, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწიოს კონსენსუსს და საქართველოს მოსახლეობის ერთიანობას მათი საერთო მომავლისთვის“, — აღნიშნა დეგნანმა.

სოფალ აქვის მიმდებარე საპარტეზლო ოთხი მოქალაქე უკანონოდ დააკავეს

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აქვის მიმდებარე საქართველოს ოთხი მოქალაქე უკანონოდ დააკავეს. როგორც სუს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მემწეობით მოქმედი „ცხელი ხაზი“.

სუს-ში აცხადებენ, რომ ინფორმაცია მყისიერად მიენოდათ უწყვის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს.

„საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, იყენებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმს უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების გასათავისუფლებლად. ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპა-



ციო ხაზის გასწვრივ განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებზე სრული პასუხისმგებლობა რუსეთის საოკუპაციო ძალებს ეკისრება. უკანონო დაკავებების მავნე პრაქტიკა მნიშვნელოვნად აუარესებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და საფრთხეს უქმნის რეგიონში არსებულ სტაბილურობას“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს თავდაცვითი „ბახარის“ საპარტეზლოში ნაპირი პირი

ჩხორონწყვილი გახარია-საკაშვილის ერთობა შედგა. თავმჯდომარედ გიორგი გახარია პარტიის წევრი პირი იქნა. შოთა ნურნუმიას კანდიდატურას მხარი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ლელომ“ დაუჭირეს.

„ქართულმა ოცნებამ“ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა პარტიის წევრები სხდომას ესწრებოდნენ.

„სხდომის დასაწყისშივე განაცხადდა, რომ პარტიები — „გახარია საქართველოსთვის“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს შეერწყმებოდნენ, ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია გვქონდა და ეს კენჭისყრის შედეგითაც დადასტურდა. დადასტურდა რეალურობა, რომ ეს ორი პარტია ჩხორონწყვილ საკრებულოში ერთმანეთთან პირდაპირ აღიანსა“, — აცხადებს ჩხორონწყვილ საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“, ჯანო პერტაია. ამ შეფასებას უარყოფს გახარია პარტიის წარმომადგენელი. „არავის არ აქვს არც მიზეზი და არც უფლება, რომ წამოგვაძახონ, რომ ჩვენ, რაღაცნაირად, ერთმანეთთან ვართ შეერწყმულნი. სისტემურ აღიანსსა და კოალიციას არცერთ პარტიასთან არ ვქმნით. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი პარტია სულ რამდენიმე თვეა, რაც შეიქმნა, ჩვენ გვაქვს ჩვენი პოლიტიკური გზა, იდეოლოგია, რომელსაც მთელი შემართებით ვემსახურებით, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“, — აღნიშნა შოთა ნურნუმიამ.





ქართველთა მეგობარი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი - გზად და ხილად

კითხვით მთებს გადავივლი, თუ არადა მინდორშიც და-
იბნევი; მხოლოდ ბრმა ვარდებია ორჯერ ერთსა და იმა-
ვე ორმოში; ადამიანი ქვაზე მაგარია, მაგრამ ვარდ-
ზე ნაზია; ენა გულის გასაღებია...

განგებ არ ვლაპარაკობ ჩვენს ორ ქვეყანას შორის
ანინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთო-
ბაზე. ეს ყოველივე წიგნიერი მკითხველისთვის მეტ-
ნაკლებად ცნობილი ამბავია. ჰო, მართლა, პრეზიდენ-
ტი ილჰამი ძალიან მაღალი აზრისაა ამჟამინდელ ქარ-
თველ ხელმძღვანელებზე.

პრეზიდენტი ილჰამის ჩემი პორტრეტის მო-
ნახაზი კი მაინცდამაინც ახლა იმიტომ დამჭირდა, რომ
24 დეკემბერს იგი სამოცი წლისა ხდება და მეც მინ-
და რომ ჩემი მადლიერი ხმაც შეეფერეთ იმ უამრავ
მილოცვას, ბაქოში ფოსტასა და ინტერნეტს რომ გა-
დატვირთავს...

აზერბაიჯანში კეთილი გულით ჩასული და კეთი-
ლივე თვლით მომზირალი სტუმარი უთუოდ შეამჩ-
ნევს, რომ აზერბაიჯანელები აღმოსავლეთისთვის და-
მასხისათებელი ფერადოვნებით გამოხატავენ გულ-
წრფელ პატივისცემას თავიანთი ახოვანი, წარმოსა-
დგეი და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად გო-
ნიერი პრეზიდენტის მიმართ.

**ამიტომ მჯერა, ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ
ილჰამ ალიევი კვლავ კიდევ უფრო მეტად წარმატება
იმ საპატიო, მაგრამ უმძიმესი უღლის ტარებაში, რასაც
სამშროლოსა და ხალხის უღალატო მსახურება ჰქვია.
წარმატება კი უწინარესად იმას მოაქვს, როცა ქვეყნის
ხელმძღვანელი ხალხის გულის გასაღებს ფლობს.**

ჩვენი ქვეყნის უდავოდ კეთილმოსურნე მეგობარი
ილჰამ ალიევი, დიდი ალიევი ალირზა-ოღლის ვაჟიშვი-
ლი, ამჟამად აზერბაიჯანის პრეზიდენტი, პირველად
თითქმის ამ ორი თუ სამი ათეული წლის წინათ გავიცა-
ნი, უფრო სწორად, პირველად შევხვდი თბილისში ჩვე-
ნი ერთი საერთო მეგობრის ვაჟის ქორწილში. იმხანად
ილჰამი სწორად ჩამოდიოდა თბილისში, ქართველ მე-
გობრებს სტუმრობდა ხოლმე, დროს ერთად ატარებ-
დნენ. ქართველებიც არცთუ იშვიათად იყვნენ ილჰამის
სტუმრები ბაქოში.

რადგან სასიხარულოა, რომ ეს გულითადი პირადი
მეგობრობა უკვე მერე, ილჰამის გაპრეზიდენტების
შემდგომ, საქართველოსა და აზერბაიჯანის ძველი,
ისტორიული მეგობრობა ბევრად უფრო საქმიან მე-
გობრობასა და ურთიერთობაში გადაიზარდა. ეს სწო-
რედ ის შემთხვევაა, როცა თვალის სინათლე კარის მე-
ზობელს ძმად მიაჩნისარ და შენც ძმად გეგულებია.

ხე რომ ნაყოფით იცნობა, ძველი სიბრძნეა. ილჰამი
ისეთი მამის შვილია, სხვანაირი ვერ იქნებოდა, საქარ-
თველოს სიყვარული დიასხაც ბრძენი მამისგან გამოჰ
ყვა, რომელი მამის ძეგლიც შემთხვევით არ დგას თბი-
ლისში. ცნობილია მტკიცე, მრავალწლიანი მეგობრო-
ბა, თანაც უმაღლეს დონეზე, ჰეიდარ ალიევისა და ედუ-
არდ შევარდნაძის შორის. ამ ორ გამორჩეულ კაცკა-
სიელს, თამამად შეიძლება თქმა, გარკვეული დროის
სიგრძეზე თავიანთი მხრებით ეჭირა საბჭოთა იმპე-
რია, სანამ თვითონ ხელმძღვანელებად უვარგისი არ-
ყისტ-მარქსისტის რუსები სამარცხვინოდ არ გაყიდო-
ნენ ისევე ქართველი სტალინის მიერ ოფლითა და
სისხლით ნაშენებ დედამიწის ერთ მეექვსედ ქვეყანას.

ქართველთა მიმართ ალიევის გულთბილ დამო-
კიდებულებაზე რომ ვლაპარაკობ, ამის საფუძველი
ნამდვილად მაქვს. მახსოვს, ჯერ კიდევ იმ საკუნეში,
მე და ალექო ასლანიშვილს, როგორც რესპუბლიკური
გაზეთის კორესპონდენტებს, ბაქოში მოგვიხდა ჩას-
ვლა რაღაც თარიღთან დაკავშირებით, აზერბაიჯა-
ნის რესპუბლიკური გაზეთის რედაქტორს ჰეიდარ
ალიევისთვის ეცნობებინა ბაქოში ჩვენი ყოფნა. ის მა-

შინ პირველი მდივანი იყო. მიღებით ხომ მიგვილო და
გულითადად გვემასპინძლა, აზერბაიჯანული ჩაითაც
გაგვიმასპინძლა, მერე კი ქალაქგარეთ გაგვიყვანა
და ჩვენთან ერთად ისადაილა. ეს ახლა იქნებ ვინმეს-
თვის ჩვეულებრივ ამბად ჩანს, მაგრამ მაშინ, ორი ჩვე-
ულებრივი ქართველი ჟურნალისტისთვის, ეს ნამდ-
ვილად ჩვეულებრივი ამბავი არ
იყო. თანაც იმდენი რამ იცოდა სა-
ქართველოზე და ჩვენს ისტორი-
აზე, რომ ჩემი მეგობარი ისტორი-
კოსი ალექო ასლანიშვილი მერე
გაოცებულნი მეუბნებოდა, ეს რა
კაცი ყოფილაო.

ამ თვალსაზრისით, თავისი დი-
დი მამის ალი-კვალაია, პრეზიდენ-
ტი ილჰამი, რომელსაც რამდენიმე
ქართველ მეგობართან ერთად
შევხვდი შარშან ბაქოში. სუფრას-
თან საუბარი რომ გაღრმავდა, ერ-
თმა მეგობარმა სასხვათაშორი-
სოდ ახსენა დავითგარეჯა. ფრი-
ად სხარტი გონების ილჰამს რას
გამოაპარებდა ქართველი მეგო-
ბარი, რომელსაც ის ეგრევე
მიუხვდა გულისნადებს, მხარზე
ხელი დაჰკრა და დაამშვიდასავით,
ჩვენ შორის არცრა მოუგვარებე-
ლი რამ არც ყოფილა და არც იქ-
ნებო. ერთი, რაც ბევრი სხვა
ხელმძღვანელისგან გამოარჩევს,
საოცარი მჭევრმეტყველია, მშობ-
ლიური აზერბაიჯანულის გარდა,
თავისუფლად ლაპარაკობს რუსუ-
ლად და ინგლისურად. მეტყველებას ანდაზებითა და
სხარტი მოსწრებული სიტყვის მასალით აბარაქიანებს.
ზოგი რამ ჩავინერე კიდევ (მე წესად მაქვს, საერთოდ
დღის ბოლოს იმ დღის ყველა ამბავს ვინერ)... იყავი
სინდისის მსახური და ნებისყოფის ბატონი; კითხვა-



ალიევის ოჯახი

მომავლისკენ მრავალ ახალ წელს, ბატონო პრეზი-
დენტო!

გურამ გოგიაშვილი,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

საპარტოვლოს თავდაცვის მინისტრის მინისტრი აზერბაიჯანულ კოლეგას უხვდა

საპარტოვლოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურ-
ჭულაძე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბ-
ლიკაში იმყოფება. ბაქოში ის პრეზიდენტი ალიევის შემდეგ
შეხვდა აზერბაიჯანულ კოლეგას, გენერალ-პოლკოვნიკ ზა-
ქირ ჰასანოვს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გენე-
რალ-პოლკოვნიკ ზაქირ ჰასანოვს მადლობა გადაუხადა
ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლი-
ანობის მტკიცე მხარდაჭერისათვის.

შეხვედრაზე მინისტრებმა მიმოიხილეს რეგიონისა
და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხები, ისაუბრეს
საფრთხეებსა და გამონკვევებზე. მხარეებმა ხაზგასმით
აღნიშნეს ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორი-

სო თანამშრომლობის გაღრმავებისა და განმტკიცე-
ბის აუცილებლობა. კერძოდ, ორმხრივი ფორმატის
განხილვისას, განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მრავ-
ალეროვნულ სამხედრო სწავლებებში აზერბაიჯა-
ნელი სამხედროების მონაწილეობას, ასევე, სამხედ-
რო განათლების სფეროში თანამშრომლობას. აღინიშ-
ნა, რომ აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამ-
მხრივი ერთობლივი წვრთნები და სწავლებები, ექს-
პერტთა დონის შეხვედრები კიდევ უფრო აახლოებს
ჩვენი ქვეყნის სამხედროებს და აძლიერებს ურთიერ-
თავსებადობას. მოგვიანებით, ჯუანშერ ბურჭულ-
აძემ და გენერალ-პოლკოვნიკმა ზაქირ ჰასანოვმა
ხელი მოაწერეს 2022 წლის ორმხრივი სამხედრო თა-
ნამშრომლობის გეგმას.

ზრუნავენ ბაყოვ ხაზთან მსხოვრებ მოსახლეობაზე

ბაყოვში ხაზის მიმდებარე სოფლებში
კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეო-
ბის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი
სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა კო-
მისიის თავმჯდომარემ ირაკლი ქარსელაძემ
და თანათავმჯდომარემ თეა ახვლედიანმა
გახსნეს. განიხილეს რამდენიმე მნიშვნელო-
ვანი საკითხი, მათ შორის კომისიამ გადაწყ-
ვიტა, გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებ-
ში მცხოვრებ მოსახლეობას, ზამთრის პერი-
ოდში ფინანსურად დაეხმარონ, ასევე, სტუ-
დენტების 2021-2022 სასწავლო წლის დფი-
ნანსება გაუგებლონ.

სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედი-
ანმა მიმდინარე ოკუპაციის მძიმე შედე-
გებსა და კონფლიქტით დაზარალებული
მოსახლეობისთვის ცხოვრების სათანადო
პირობების უზრუნველყოფის მიზნით, მა-

თი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მინისტ-
რის განცხადებით, სწორედ გამყოფი ხაზების სიახ-
ლოვებს მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა წარმოად-
გენს შერიგების და ჩართულობის პოლიტიკის ერთ-
ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს.

თეა ახვლედიანმა ხაზი გაუსვა იმ პროექტების მნიშ-
ვნელობას, რომლებიც, კომისიის მიერ განეული
ძალისხმევის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე
სოფლებში 2013 წლიდან
განხორციელდა: გაზიფიკა-
ციის, წყლით მომარაგების,
განათლების დაფინანსების,
ჯანდაცვის, სოფლის მეურ-
ნეობის და სხვა მიმართუ-
ლებებით. სახელმწიფო მი-
ნისტრის თქმით, ამ სოფლე-
ბის სოციალურ-ეკონომიკურ
რი განვითარება არის ძლი-
ერი პოლიტიკური გზავნი-
ლი ოკუპირებულ რეგიონ-
ებში მცხოვრები მოსახლე-
ობისთვისაც, როგორც სა-
ქართველოს ხელისუფლე-
ბის ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის თვალ-
საჩინო გამოვლინება.

„მინდა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით განვმარტო, რომ
უსაფუძვლოა ამ საკითხებზე ბოლო თვეების განმავ-
ლობაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს
შეჩერდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მხარ-
დაჭერი სახელმწიფო პროგრამები. უფრო მეტიც,
2013 წლიდან დღემდე, კომისიას არცერთ სხდომაზე
უმსჯელია რომელიმე სოფლისთვის სტატუსის შეჩერ-
ების თაობაზე ან იმ სტუდენტების დაფინანსების
შენწყვეტაზე, რომლებიც აკამყოფილებენ წლების გან-
მავლობაში დაზუსტებულ და მოქმედ კრიტერიუმებს,
- განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლე-
დიანმა.



ოცდაათი წელია ჩვენი სამშობლო უკომპასო გემივით დატრიალდა უკიდვარად ოკეანეში. ნაპირი არ ჩანს და არც იმე- ვალი იმისა, რომ ხომალდზე დასაქმებულთა წყალობით მი- ვალწვევთ „კეთილი იმედის კონცესს“. წარღვევაში მოხვედრი- ლი კიდობანი გზაბნეული აწყდება ღვთის რისხვად აზვირ- თებულ სტიქიას. სამი ათასი წელი, ავად იყო თუ კარგად, მოვდიოდით ცისქვეშეთში. ვუძლებდით სისხლის წვიმებს და ქარიშხლებს. საუკუნეები უმონყოლოდ გვსეტყვებდნენ, მაგრამ ისტორიას ქედუხრებულად ვუსწორებდით თვალს. როცა გვეგონა, რომ ყველა სატიკვარი გადატანილი გვექონ- და და წელი გამართულად ვგრძობდით თავს, მოხდა ად- რინდელ ტრაგედიებზე აღმატებული დასეტყვა, რომელმაც წარსულის შვიი დღეები სანატრელი გაგვიხადა.

კერძების ცვლაში ვათენებდით და ვალამებდით. ხან ვის ვეკვლებოდით და ხან ვის. დაგვიდგა ჟამი თავისუფლების, მაგრამ ვართ თავისუფლები? გაუგებრად გამოფრული სიბრძნის ქვეშარტება ეტყობა დედამინის ორსავე ნახევარ- სფეროში შემოდგომის ფოთლებივით უგზოუკვლოდ მიმო- ფანტულ ქართველებს?

30 წელზე მეტი დამოუკიდებლობის მოპოვების ზეიმში გავატარეთ. ამაღლებული განწყობა დღესაც არ არის ჩამ- ცხრალი. საოცრად გაგვიძნელდა თავისუფლების ანბანში გარკვევა.

თანამედროვე ცივილიზაციის მწვერვალზე ეროვნული ცეცხლივით აგიზგიზებული „დიდაკები“ ამაყად დაბრუნე- ბენ სტრატეგიულ პარტიზონებად შერაცხულთა მოედნებზე. რა მიაქვთ ან რა მოაქვთ, საიდუმლოდ არის დაფარული. ყო- ველგვარი საშუალებებით ეწყობა ხელი ერის განთავსებას მი- თიური ელდორადო, სადაც ზღვათა სანაპიროები ოქროს ქვიშით არის მოფენილი, ცხრა მთის გადაღმა დარჩა. სა- მოთხეში სხვებმა მიგვასწრეს, თუმცა არ გვავინყდებია, რომ ჩვენი სამშობლოც ღვთისმშობლის წილსევედრია. სინამდვი- ლეში ქართველები სამშობლოს სხვას უტოვებენ და ეს მი- აჩნიათ ახალი ეპოქის დიდ შენაძენად.

ვის უნდა უპარტიზონებო საპარტიზონო? მხოლოდ მტრადმცემი პარტიზონი. არაფერს ვიძიებთ იმაზე, რომ უცხოეთში დაბრუნდნენ ქართველი ბავშვი (დამართვა ბაღმონივით ახალგაზრდა) პარტიზონად ვერ გავიხრებოდა. ერის ნაბაზოფლოვითი თვითღიკვი- დაცია არ აღიქვამს იმას, რომელმაც კანონით ვეალაბათ ძველნი დამოგრაფიული წესრიგის დაც- ვა. ჩვენს სინამდვილეში ყველაზე საჭიროებელი საკითხების დალაგება გადაგვიჩინა ფრინველების კატაგორიაში გაერთიანებულ პარტიზონებს აქვთ და- კისრება უნდა.

ჩვენი კომენტარების მიზანია ტრაგიკული ეპიზოდების აღწერა, სიცრუეთა გამოაშკარავება, რეფორმების ახალი ტალღა რომ დაარქვეს ნაციონალებმა. განათლებისა და მეც- ნიერების ძირფესვიანი შეცვლა უნდა გამხდარიყო მომავ- ლის გზის მანათობელი, რომელსაც უნდა დაშენებოდა მო- მავლის ტაძარი და არა ყურმოკრული გაუგებრობები. ბნელი ჯურღმულების შხამში ნანრთობი ცელი უმონყოლოდ მუს- რავდა მშვენიერებას და ანაცვლებდა უფერული სურთვა- ტით. ნათელი ხდებოდა უძველესი სიბრძნის შეგონებანი „სა- ხელმწიფოები ილუპებთან მამინ, როცა არ შეუძლიათ განას- ხვავონ ერთმანეთს და კარგი და ცუდი ადამიანები“. საქარ- თველოს მთავარი დამანყვეარის, მურვან ყრუს შორეული მემკვიდრეების, სააკაშვილ-ლომაიას ბოროტების მანქანა, წყვილად კაშკაშა შუადღედ ახვევდა თავს სმენა დაქვეი- თებულ ერს. დამოუკიდებლობის წარზეიმს გამოდევნებუ- ლები აღმოვიჩინეთ გაუფლავი ტყეების შუაგულში, საიდნად გა- მოსასვლელ ბილიკს ურჩხული ცერბერი აკონტროლებ- და. სააკაშვილ-ლომაიას ბლაგვი ნაჯახი უმონყოლოდ ამა- ხინჯებდა ერის დიდებად მიჩნეულ სინამდევებს.

„დამოუკიდებლობის“ მოპოვების 30 წელი „ბედნიერების“ ზეიმში გავატარეთ. საზეიმო განწყობა დღესაც არ არის ჩამ- ცხრალი. თვალდახუჭული მიუყვებით ბრძოლის არჩეულ გამ- რუდებულ გზას. უახლოეს წარსულში რეალობასთან მწერა- ლად მყოფმა „ეროვნულმა მოღვაწეებმა“ შეთხზეს ლეგენდა ბოროტების მსხვერვის შესახებ. ბოროტები მოვიშორეთ? ჩვენი დამოუკიდებლობა ნაადრევად დაბადებულს შთაბეჭ- დილებას სტოვებს. მკერდზე მუშტის ცემით გადაღლილი „პატ- რიოტები“ დუმილით უვლიან გვერდს იმ რეალობას, რომ „თა- ვისუფლების“ მოპოვების ოცდამეათე წელს, ქართველთა რიცხვი „მონობის“ დროს ორჯერ მეტი იყო. გალავანშემორ- ლეული საქართველო უპატრონო ეკლესიას ჰგავს. რუსეთის ზღვარგადასული ლანძღვა-გინებით და ამერიკის ფრთოსანი ანგელოზის სახით დასატყაში შემოგვადნა მიწა-წყალი და კატასტროფულად განახევრდა ქართველობა. გამოდის, „მო- ნობაში“ ქართველები მრავლდებოდნენ, დამოუკიდებლობა- ში? სამშობლოს სიყვარულით გადაღლილი „პატრიოტები“ მმას არ იბეზენ ტრაგიკული აღსასრულის მოახლოებაზე. ახა- ლი სამშობლოს მძიებლებს დედა-მინა ევატარავებთ. ერის მამები“ ოცდაათი წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ენამზეო- ბაში. სიცრუის სიბრძნედ გამსაღებლები გვარნმუნებენ, რომ ვიპყრობთ მიუნწოდებულ სიმაღლებს). მჭერმეტყველებაში განაფულ ყოველმოდენებს, ერთხელ არ წამოცდენიათ, რა არის ქართველთა განთავსების მიზეზი. ჩვენი ბრძენთარძენები ასეთ მარტივ საგნებზე ფიქრით არ ინუხებენ თავს. სტრატე- გიული პარტიზონების საამებლად, კითხვის დასმასაც კი ერი- დებიან, ნახევარ სიმართლეზე ჩამოკიდებულები, უდიდეს გა- მარჯვებად აცხადებენ ეროვნული გრძობის გაუფასურების პირველ წყაროს, ვიზალიბერალიზაციას. ხელის შეწყობას იმ მზაკვრობაზე, რომ გაუადვილდეთ უპოვრებს სამშობლოს დატოვება.

„დამოუკიდებელი“ საქართველოს ხელისუფლება ჭკუ- ის მასწავლებლების რჩევით, აქტიურად ცდილობს ეროვ- ნული ენერჯის ფესვების მოკვეთას. რა არის საამაყო იმ სა- მარცხვინო ქმედებაში, როცა ქართველი სამშობლოდ სხვა

ქვეყანას ირჩევს? წყევლა-კრულვით მოვიხსენიებთ შაჰ აბას- სა და მის მსგავს კაციჭამიებს. „ქება-დიდებას“ ვასხამთ ქარ- თველებზე ზრუნვით გადაღლილ ჩვენივე ტომის თავდადე- ბულებს. თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ორივე ქმე- დების მიზანი უქართველებო საქართველოა. მტერს სხვა გან- ზრახვა არასდროს ჰქონია. „დამოუკიდებლობა“ ამ კუთხით, „მონობაზე“ მიმედ დაგვატყდა თავს. მედროვეები თავიანთ ნებაზე ატრიალებენ სასიცოცხლო ბოროტებს. დამოუკიდებ- ლობის მეოთხე ათწლეულში გადავაბიჯეთ. სამშობლოს საზღვრები თვალსა და ხელს შუა პატარავდება. ერთადერთ იმედად რჩება უსაგნო მტკიცება იმისა, რომ საქართველო ღვთის წყალობით გამთლიანდება...

ერი დგას და ელოდება ზეციურ გამოჩენას, რომ თავ-



ვის უნდა უპარტიზონებო საპარტიზონო?!

შესაფარი ჰპოვოს კუთვნილ ცისქვეშეთში. დრო გაჩრ- და...ტალახში ახელილი ქვიშა წმინდა ტაძრის ასაგებად გა- მოუხადებარია. მოურჩენელი ავადმყოფობის დაძლევის იმე- დი არ ჩანს. ნაციონალების გესლით დაღდასმული უიმედობა, ამოდ ფართხალებს, ხმელეთზე ამოსროლილი თევზივით. უმძიმესი სენით დაავადებული ქართული პოლიტიკური აზ- როვნება მომაკვდავის აგონიაში ბორბავს. გუდაფშუტა სო- კოვნივით მოძრავლებული პოლიტიკური პარტიები იოლი ცხოვრების მოყვარულთა საიმედო თავშეფარს წარმოად- გენს. უმაქნისი და გზაგარუდებული არამკითხვები მერამ- დენედ აფრქვევს სართულებიან ტყუილებს წმინდა ჭეშმა- რიტებად. ქვეყანა ტოვებს უპატრონო მიცვალებულის შთა- ბეჭდილებას, რომლის ცხედართანაც სამეკდრო-საციცოცხ- ლო ბრძოლა გაჩაღებული მეტი ნილის დასასაკუთრებლად. უაზრო ქიშპობა ისტორიის მღვრიე ტალღებში მიაქანებს სისხლის წვიმიდან გამოღწეულ სინამდევებს. უახლოე- სი წარსულში სულაც არ გამოიყურება საამაყოდ, როგორც მიიჩნევენ ჰაერში მოფარფატე მომავლის გვრტები.

უკანასკნელ ხანებში ტყუილი და მართალი ისე აირია ერ- თმანეთში, რომ ძნელზე ძნელი გასარჩევია, თუ სად იმალება სიმართლე.

ერის მამებდა გადანათლულ მომავლის „ჩირაღდნებს“ რი- გითი ქართველი საერთოდ არ აინტერესებთ. დიდების მწვერ- ვალი დაპყრობილი აქვთ და მიღწეული ნეტარებით ნებივ- რობენ. თანამედროვე საქართველოს თვითმარქვია „მამებ- მა“ წარსულს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს და მთელი მონ- დომებით ცდილობენ ყოველგვარი კვშირი განყვიტონ ის- ტორიასთან, განთავისფლდნენ იმ ტვირთისაგან, სახელად ტრადიციები რომ ჰქვია. ეროვნული მეობის გაუფასურება დაიწყო განათლებასა და მეცნიერებაზე ბარბაროსული შე- ტყვით. ლომიას გამინისტრებამ სულიერება შვიი დღეები რომ გაუთენა, ეს რეალობა გაცივრ საქართველოს საეჭვოდ არ მიუჩნევია. თვალსაჩინო გახდა არსებული სიმაღლის არ- ნახული დადაბლების მცდელობა და აბუჩად აგდება. ლომია, როგორც ვანდალი ისე მიადგა ქართული სინამდევების სა- კუთხეველს და მოკვ ხანში სრული სიბნელე ჩამოაწვინა. ეს ტრაგიკული ნაბიჯი გამოგვიცხადა ქართული რაობის უზე- ნავსმა გამრგვამ ეპოქალური მნიშვნელობის გარღვევად.

დაიწყო თავაშვებული მტკიცება ერის გაუნათლებლო- ბისა და ჩამორჩინელობის შესახებ. გაუფერულდა სამშობ- ლოს გაგება და ფართო ასპარეზი დაეთმო უსამშობლო არ- სებების უაზრო ტაშვანდურს. ყოველივე ეროვნულის ამოძირკვის თავკაცად, განგებამ მოგვივლინა სააკაშვილი და მისი რჩეული „ინტელექტუალების“ ბანდა, რომლებმაც სიხალის სახელით მონათლულ ძალადობას, რეფორმები და- არქვეს. ჩვენს ქვეყანაში, რაც მეტ-ნაკლები გამოშხაველო- ბით, საკუთარ ფეხზე იდგა, ხერხემალში გაატყვეს და სა- მოქმედო ასპარეზი გაისუფთავეს. ნაადრევად დალაშქრ და ერს თავს მოახვიეს სიბნელე. უბედურების კულმინაცია იყო

ის თავხედობა, როდესაც ქანდაქარმა ლომიამ თავის მახინჯ ნახელავს ევროპის საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლო- ების ერთდერით გზა უწოდა.

დატრიალდა უბედურების ქარიშხალი, რომელმაც მი- წასთან გაასწორა ქართველთა ნაღვან-ნაამაგარი. ბრძოლის ველს დაემსგავსა კავკასიონის მისადგომები. დამარცხებული ქართველების ცრემლი მტკვრისა და რიონის ტალღებს უფრ- თდებოდა. ვარსკვლავებიჭუნებო ზღაპრის გმირების დარად ხმამაღალი შეძახილებით ზეიმობდნენ გამარჯვებას. მწირი ცოდნის ახალგაზრდებმა ომი გამოუცხადეს ცოდნით დატ- ვირთულ მასწავლებლებს და ავაზაკ ლომიას სიცრუის მგა- ლობელთა ლეგიონს შეუერთდნენ.

განათლება და მეცნიერება „სამოთხის“ კარებს მიახლო- ების აპოლოგეტებმა ზედმეტ ბარგად გამოაცხადეს და და- ინყეს ეროვნულ სინამდევებზე უთავბოლო შეტევა. ნაცი- ონალებმა „საკონტროლო“ გასროლაც არ დააყოვნეს და მი- ზანი შესაშური მონდომებით ბოლომდე მიიყვანეს, ქვეყა- ნა მასწავლებლის გარეშე დატოვეს (კიდევ უფრო შორს წა- ვიდა ლომიას მემკვიდრე შაშკინი, რომელმაც ქართულ გა- ნათლებაში ლომიას გაგლებული უფსკრულის გაღრმავე- ბა უცხოეთიდან მოწვეული ვითომ მასწავლებლებით სცადა. სადამსჯელო ორგანოებიდან მოსულმა მინისტრმა, საბო- ლოოდ დაადასტურა ნაციონალების საგანმანათლებლო პო- ლიტკის სრული უაზრობა. შედეგი? უსაგნო ყბელობის გარ- და, არაფერი გაკეთებულა. რა თქმა უნდა, განათლების და მეცნიერების მინისტრს ქება-დიდება და ტაში არ დაკლე- ბია (ცხადად გამოჩნდა, რომ იმდროინდელ საქართველო- ში ნაცრის ფრქვევას მაღალი ფასი შენარჩუნებული ჰქონ- და. შაშკინი იყო ლომიას გაუარესებელი ორეული, სხვა სა- ხელისა და გვარის არსება. წინამორბედის იდეების ღირ- სეული გამგრძელებელი. ვარდების რევოლუციამ არნახუ-

ლი და არგაგონილი საოცრება მოახდინა განათლებისა და მეცნიერების რეფორმას გაუნათლებელი პირები ჩაუყენა სა- თავეში.

მროვნულ უბედურებას სათავე დაუდეს ნაციონალებ- მა, რომლებმაც ტრადიციები წარსულის მავნე გადმონაშ- მად გამოაცხადეს და ინვესტიის კონცონზე მიუჩინეს ად- გილი. ჯოჯოხეთის მოციქულთა მზაკვრული ქმედებებით დაიწყო ეროვნული ენერჯის დაქვეითება. სკოლისა და უნი- ვერსიტეტის უმონყოლო დარბევა და „უსწავლელი სწავლე- ლების“ ამოტივტივება განათლებისა და მეცნიერების მდ- როვნებად. ერის მამობის მედიდური იერით, პირველკაცო- ბის კვარცხლბეკზე წამოიბარნენ მედროვე ყაბზისმქნელე- ბი, რომლებმაც თავი ყველაფრის მცოდნეებად გამოაცხა- დეს და ქვეყანა მეორედ მოსვლის განსაცდელში გახვიეს. გაბიდა წლავი, არაფარი შივცხილი. იგივე ხალ- ხი აბრიალებს პარტიზონებს ბაღის ბორბალს. თავს და- ტხილ უბედურებას ალრამაბავს საოცრად მომრავლე- ბული პოლიტიკას შივცხილი „პოლიტიკოსები“. საშუალოა დაბალი მონაცემების პირმა მიტინგზე თუ ორი წინადადება გადააბა ერთმანეთს, თავს პო- ლიტკოსად აცხადებს და ერთმანეთს კუთვნილი ად- გილს მზისქვეშეთში. შამთხვევით ამოტივტივებული აღმამინავის წინამძღოლვით მიმანება საპარტიზო- ლო გაუარესებელი მიმართულებით. თვალში საცხიპა წინამძღოლის საოცარი აღზავება და ნახევრად გა- ნათლებულთა საზიმიო პარაზოლი ეროვნული სულიე- რების ცაზა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკა ორ პოლუსს შორის იხარშება, რომლიდანაც თავის დაღწევის გზა ვერ მიგვიგ- ნია. მცოდნე და არამცოდნე ბრძული პოზით მსჯელობს ეროვნული ორიენტაციის შუქ-ჩრდილებზე. ოვაციის უხვად იმკიდნენ და იმკიან ბრბოს ფსიქოლოგიაზე გათვლილი უმ- ნიფარი აზრები. „პატრიოტი ქართველები“ ვერ თანხმდებიან, რომელი პოლუსია უკეთესი: ერთ მხარეს არის რუსეთი, მე- როვე მხარეს ამერიკა. მძლავრ ტალღად ეფინება ქვეყანას რუ- სეთის აუფი და ამერიკის ქებათა-ქება. ამ ორი უკიდურესო- ბიდან პატრიოტიზმის გამოვლენის უმაღლესი ხარისხის მა- უწყებელია რუსეთის ლანძღვა, მაგრამ ამ გრძობების ხმა- მალალი და გაუთავებელი დაღადისი ცუდად რომ გვიბრუნ- დება, ამაზე ჩვენი ვითომ „პოლიტიკოსები“ არ ფიქრობენ. პატ- რიოტულ ტალღაზე უიმედოდ მოტივტივენი თავდაჯერებით ამტკიცებენ, რომ რუსეთის იმპერიაში საქართველო არ არ- სებობდა (საერთოდ არ ახსენებენ საქართველოს გაერთიან- ნების ფაქტს და დიდ კულტურულ აღმავლობას) ახალი დამ- პყრობელის გულის მოსაგებად ცდილობენ ყველაზე გამორ- ჩეული პერიოდის ამოხელას ჩვენი წარსულიდან. ეს ხომ ის- ტორიის აშკარა გაყალბებაა. ვიდრე ოქროს შუაღედს არ ვი- პოვით და ჩვენი ბედის განწყობისა გზასაცდენილ უთავო-

თა მხსენლად სახელდებული ჭკუის დამრიგებელი იქნება, მანამდე ვიკლით თავგზაბანეულები, „ვიტარცა ცხოვარი უმწყემსონი“. ჩვენი პოლიტიკური აზროვნება წარსულის გამოცდილებას არ ითვალისწინებს. ერის მედროშენი ომასიანად აგუგუნებენ „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

ქვეყანა სულდგმულობს ერთი იდეით „არჩევნებიდან არჩევნებამდე“. აქტიური „პოლიტიკოსების“ ასპარეზი უსასრულოა, მაგრამ მერამდენედ უნდა ვისმინოთ ერთი და იგივე დემაგოგია? როდის დავაღწევთ თავს სიზმარში ცხოვრებას და დავბრუნდებით რეალობაში? ჩვენი სინამდვილეში არჩევნებმა ისეთი დატვიტვა შეიძინეს, თითქოს ის იყოს ერის ერთად ერთი მაცოცხლებელი ძალის მომნიჭებული. თუ მრავალგზის ნაპარაკდებულნი, გამოწვრილები დემაგოგნი არ ავირჩიეთ, ქვეყანა დაიღუპება. ვიდრე ამ აზრზე ვიქნებით ერთი და ბერი, კოლხ-ბერთა მინა-წყალს, მართლაც მეორედ მოსვლა ემუქრება. არჩევნები და კანონები საუკუნეების წინათ გამოიგონეს წესრიგისა და სამართლიანობის დასამყარებლად. ჩვენთან ეს ბრძნული გამოგონება გადაიქცა უწესრიგობის სათავედ, თავის გამოჩენის საუკეთესო საშუალებად და არაფრისმთქმელი ყბედობის მორიგ საასპარეზო არენად. კაცს რომელსაც ოთხი წელი (უმრავლესობას ორჯერ ოთხი და მეტიც) არაფერი გაუკეთებია, ვერ უნდა ბედავდეს ხელმეორედ დაჯდეს იმ სკამზე, რომელმაც ერთხელ მიანიჭა მედნიერება. მაგრამ იგი ყელყელაობს ბრბოს იმედით, რადგან დარწმუნებულია, რომ მალეღარდგონი სიტყვებით, მის გულს კვლავ მოინადირებს. რატომ უნდა იყოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ენამოქარგულ პირთა თავშესაფრად? არავინ კითხულობს იმას რა ხელობის არის ეს პირი და რისი კეთების უნარი გააჩნია. დემაგოგი, რომელსაც თავი არც ერთ სფეროში არ გამოუჩენია, რადონეზე შეასრულებს კანონმდებლის როლს? სანამდე გაგრძელდება მკითხაობა, ავირჩიოთ მავანი იქნებ გამოდგეს? ხომ დავინახეთ, რომ აქამდე არჩეულები არ გამოდგნენ. ამჯერად რა ისეთი მეტამორფოზა განიცადეს, რომ გარეგნობაც შეიცვალეს და შინაარსიც? ესენი ხომ იგივენი არიან, რაც გუშინ და გუშინწინ იყვნენ. როდემდე უნდა ვლოდებოდეთ სასწაულს, ჩვენი ერის მამებად წოდებულებს გონება გაუნათებთ და შეუდგებიან ეროვნულ საქმეთა კეთებას, მაგრამ დიდად სეჭვოა სათავსოვე გამოგონებულმა მიზანმა სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს.

რევოლუციური ტაშ-ფანდურის გრილში, ნაციონალების სწორუპოვარმა ბელადმა საქვეყნოდ განაცხადა, საქართველოში განათლების მიღება შეუძლებელი არისო. სიტყვები სისრულეში მოიყვანა, განათლებასა და მეცნიერებას საფუძველი ხელის ერთი დარტყმით გამოაცალა. ვითარება ამდომებს ის რეალობა, რომ სასწაულმოქმედების (საკაპუტისა და ლომიას) ჯადოსნური ქმედებანი უმეცვიდრეოდ არ გადაგებულა. არ ასახელებენ, მაგრამ იმავე საქმეს აგრძელებენ. თუ ნაციონალები უცხოელი მასწავლებლების მოწვევით გვირდებოდნენ განათლების დონის ამაღლებას, დღევანდელი ხელისუფლება, განათლებიდან შორს მდგომი ახალგაზრდების ევროპაში გაამწესების პირობას დებს.

განათლების რეფორმების ჩარჩოებში იზრდება ახალგაზრდობის ლტოლვა უწესრიგოდ მომრავლებულ უნივერსიტეტებში (სამწესარაო ის რეალობა, რომ განათლების სფერო ბიზნესის ერთ-ერთ სახეობად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საქართველოში. რას ასწავლიან ან ვინ ასწავლის, ამას არავინ კითხულობს). განათლებისა და მეცნიერების გაუფასურება რომ უპირველესი თავზარი იყო სასხვათაშორისოდ გაავატარეთ. ნაციონალების ანთებული სადი აზრის წამლეკავი ცეცხლი დღესაც გიზგიზებს და მისი ჩამქრობი არ ჩანს. განათლების გაუფასურებამ მოარღვია სულიერი კულტურის გაღვანა. მედროვეებს საუკეთესო დრო დაუდგათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მტაცებლური ბუნება.

ქართულ სახელმწიფოებრიობას ათწლეულების მანძილზე ეყოფა სირცხვილად, როდესაც უნივერსიტეტის ბრბოს მიერთებულმა „რჩეულთა შორის რჩეულებმა“ უარი თქვეს ხალხის მიერ მინიჭებულ მანდატზე. ნაადრევად დაბადებულმა უღლეურმა არსებებმა თავდაყირა დააყენეს კანონი და კანონიერება. ამერიკა-ევროპას შესაშფოთებლად რუსეთთან ჩვენი დაუფლებელი ურთიერთობა არ ვაკმარეთ და პარლამენტში გარჩების, რკოების თუ სოკოების შესწავლის ვლა დაუშვამტეთ. პარლამენტში წესრიგის დამყარება მედიატორების გარეშე ვერ მოხერხდა (ჯერ იყო დეპუტატად გახდომის დაუოკებელი ლტოლვა, მიზნის მიღწევის შემდეგ ბრბოს ხვეწნა-ვედრება, რომ „რჩეულებმა“ დაიკავეთ ძიებულის სკამები. ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო თვალმაქცობაა. ახლა მტრული ძალების შეგონებანი, რომ ქართველები არიან არასრულფასოვნები და დამოუკიდებლად არცერთი პრობლემის გადაჭრის უნარი არ შესწევთ. ეს იყო სააკაშვილ-ლომაიას ოცნების ხორცშესხმა, რომლებიც თავიანთი „ბრძნული“ შეგონებებით ახალისებდნენ ქართველთა გაუნათლებლობას და ჩამორჩენილობას. ალტაცებულები იყვნენ გონიერთათვის სამარცხვინო, განვითარებადი ქვეყნის

ერის გაღვანა-ნალ თვითგამოცხადებული ახალი მოდის „პატრიოტები“, ნაციონალების რეფორმისტულ გაუბებრობაში ავანტიურაბენ ხელეხ. წუთისოფალი მიღის თავსმოხვეული გღაპრული მირაქებით. დიდი ხანია მრული და მართალი ერთმანეთისაგან ვერ გაგვირჩევიან.

სტატუსით. ვაი იმ ქვეყანას, რომლის განათლებაც ლომიას გაკვალულ გზას ადგას. განათლების დამსობამ განაპირობა მცოდნეთა რიცხვის კატასტროფული შემცირება. უსოვარი დროიდან ცნობილია, რომ უცოდინარს საკუთარი სისულელე ღვითი მომადლებული ჭეშმარიტება ჰგონია. სინაღვ ნაციონალების დათესილი სიბნელის ბუნებრივ გაგრძელებად აღმოცენდა, რომლის წინაშე უძლური აღმოჩნდა ევროპულ-ამერიკული დიპლომატია. რამდენიმე თვე თანამედროვე მსოფლიოს ბედის განმკითხავებმა ვერაფერი შეასმინეს რჩეულთა შორის „რჩეულებს“.

ერის გაღვანაღვანად თვითგამოცხადებული ახალი მოდის „პატრიოტები“, ნაციონალების რეფორმისტულ გაუგებრობაში ავანტიურებენ ხელეხ. წუთისოფალი მიღის თავსმოხვეული ზღაპრული მირაქებით. დიდი ხანია მრული და მართალი ერთმანეთისაგან ვერ გაგვირჩევიან. ვალავანშემორღვეული წმინდა ტაძარი ეშმაკების სასასპარეზო არენად არის ქვეყნის. მედროვეები ძალადობენ და უცხო საწამლავს უკვდავების წყაროს წყლად ასაღებენ. ტყუილების გუდამოკიდებულები დაუზარებლად აფრქვევენ ათასგვარ სატყუარას.

დემოკრატია აზრის გამოხატვის თავისუფლებას ნიშნავს, მაგრამ ყველას აზრი არის მოსასმენი? უაზრო აზრთა განმარტებლები ამჯობნივენ ჭაობში ჯდომას ან ნაცრის ქექვას და ეს მიაჩნიათ თავიანთი თვითნებობა და გაღვანაღვანის ძირითად პირობად. დრო არ ჩერდება, ჩვენ ვრჩებით უმწეოდ, როგორც უსუსური არსებები.

საკაპუტის ყურმჭრილმა ვაირეფორმატორებმა, ქართული განათლება სამარეს მიუახლოვეს, რაც ევროპულ სივრცესთან მიახლოებად დაუსაბუთეს დაჩოქებულ ერს. ქუხდა ნაციონალური მოძრაობა, ზანზარებდა ქართული მინა. დამოუკიდებლობის მთავარი ინსტრუმენტი, დემოკრატია და მისი შვილი არჩევნები, შესაბრალისად დაჩანჩანკდა. სიტყვებმა მიშენელობა დაკარგეს. რეფორმებსა და არჩევნებს შეეჩვია ხალხი. სასწაულმოქმედების გაუგებრობის კოშკს არც თავი უჩანდა და არც ბოლო. სინამდვილეში გაუგებრობიდან გაუგებრობაში შებიჯება გამოგვიცხადებდნენ. უკიდებლობის საშვილიშვილო მიღწევად. დიდის მსახურებად თავს აცხადებდნენ ცოდვებში ჩაფლული უძლები შვილები, რომლებმაც პატრიოტული ლექსიკონის ყველა სიტყვა გაცვიტეს და ადრინდელი ელვალება დაუკარგეს. სიცარიელემ გადაფარა სიმათლე და ტახტზე დასვა ცრუ მქადაგებელი. ქუჩიდან მოსული „უძლები შვილები“, ქუჩის კანონებით ჭრიდნენ და კერაედნენ ქვეყნის დამსობისა და დაქცივის მტრულ გეგმას.

ისტორიის მღვრიე ტალღებს მოყოლილებმა დახატეს და თავიანთ მამებს წარუდგინეს ისეთი სურათი, თითქოს ქართველები ნაციონების გამოჩენამდე ცხოვრობდნენ გამოქვამულში.

ათწლეულებმა დაგვანახეს, რომ უცხოური სერტიფიკატ-დიპლომებით ყელყელაობა ვერ უშველის საქართველოს და ვერ დააყენებს ნათელ გზაზე. ჯერჯერობით დავდივართ სხვისი თავით. კრიტიკულ მომენტში საკუთარი გვარ-სახელის წარმოთქმა გვაგინყდება. თერისა და შავის გარჩევა რომ გვიჭირს იმ საშვილიშვილო გარდაქმნების დამსახურებაა, ვარდების რევოლუციამ რომ უნადერდა „დამოუკიდებელი“ საქართველოს. დაგესლილი გარემო თავის ფუნქციებს უშეცდომოდ ასრულებს. ცუდი არ გვაგინყდება კარგს ვერ ვსწავლობთ.

ჟამიანობა არ დამთავრებულა. სინათლე მოქცეულია უსულგულო არსებების ტყვეობაში. პანდორას ყუთიდან იმედის ამოფრინდა და დატოვა ჩვენი მწუხარე ქვეყნის საზღვრები. დანაპირები სამოთხე უდაბნოს მირაქებით ეთამაშება ხედავს. სიცრუის ნისქილის რაკაკი „ბრძენაკაცებს“ ოდნავადაც არ უქმნის უხერხულობას, არც ერს მოწყინდა აუხდენელი ოცნებების შეღამაზებული ამბების მოსმენა. ტყუილი და მართალი ისე აირია ერთმანეთში, რომ ძნელი დასადგენია, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე.

ეშმაკის მსახურებო, რას დაგვიმტავასთე სამშობლო? თენდება ვაით და ღამდება უით. ასეთი ბედნიერი დღეებით დასაჩუქრეს სტრატეგიულმა პარტნიორებმა გზაბნეული ქართველები. ფხარეული მიუყვებით გამრუდებულ წუთისოფელს. ათასგვარი მანკიერებანი ავიწროებენ თვალთახედვის არეგას. დათარეშობენ ბარბაროსების უკანასკნელი ლეგიონები, სახელდებულნი ქართველ პატრიოტებად. თვალმაქცობამ აღამიანური შესაძლებლობების საზღვრები გადალახა და მესამე ნაპირიდან უტევს მუხლებზე დაჩოქებულ საქართველოს. როდის გავაღწევთ სამშვიდობოს?

ჟამიანობა საქართველოს თანდაყოლილი ბედისწერა იყო, მაგრამ სუნთქავდა ეროვნული ენერგია. უგვარაგსმა მტერმა ამ ენერგიის დაკნინებით დაიწყო და თუ რაიმე გავაჩნდა მოსაწონი თავზე დაგვამსო.

ჟამიანობა გრძელდება?
ბრანი ძავთარია



ფასდაუდებელი სარეზერვი

სამართლიან კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, გამოჩენილი მეცნიერისა და აკადემიკოსის, გიორგი ჩიტაიას პირადი არქივი გადაეცა. არქივი სამინისტროს გადასცა გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხელოვნების ქართული ხელოვნების მემორიალური მუზეუმის მთავარმა კურატორმა თამილა ცაგარეიშვილმა, რომელიც ათეული წლების მანძილზე პატრონობდა და ინახავდა არქივს.




თამილა ცაგარეიშვილს სამინისტროში თეაწულებიანმა უმასპინძლა და აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავარმა კურატორმა მისი თხოვნით წარმოადგინა სამინისტროში გიორგი ჩიტაიას არქივი. მინისტრის თქმით, მოხდება არქივის ინვენტარიზაცია და სამეცნიერო დამუშავება, რის შემდეგაც ის დაცულ პირობებში დაუბრუნდება ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

„მინდა მადლობა გადავუხადო თამილა ცაგარეიშვილს ჩემი თხოვნის დადებითად გადაწყვეტისთვის და იმისთვის, რომ მრავალი წლის მანძილზე, როდესაც ჩვენს ქვეყანას უჭირდა, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, მან უპატიონა ამ არქივის და დღეს უკვე გვაქვს შესაძლებლობა ვთქვათ, რომ გიორგი ჩიტაიას არქივი კვლავ სახელმწიფოს ხელშია“, – აღნიშნა თეაწულებიანმა.

გიორგი ჩიტაიას პირადი არქივი მოიცავს 1920-1980 წლებში მის მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ და დამუშავებულ მასალას.

საარქივო მასალები მოიცავს არაერთ ფასდაუდებელ ცნობას და მეცნიერული კვლევის შედეგს, მათ შორის: „აჭარის ტანის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციისა“ და სვანეთსა და ხევსურეთში მოწყობილი ექსპედიციების ამსახველ მასალებს; ექსპედიციებში მონაწილე მხატვრების ჩანახატებს; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასს; 1950 წლის დოკუმენტურ ფირს სვანეთის შესახებ, რომელიც აკადემიკოსმა ალექსანდრე რობაქიძემ შესწირა მუზეუმს; პირად დღიურებსა და ჩანაწერებს, ასევე, პირად წერილებს და ა.შ.



გიორგი ჩიტაია პირველი თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი და არაერთი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერის შემქმნელია. 1940 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააფუძნა ეთნოგრაფიის კათედრა და პირველი სალექციო კურსი ზოგად ეთნოგრაფიაში. მეცნიერის სახელს უკავშირდება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ეთნოგრაფიული განყოფილების შექმნაც და სამეცნიერო ეთნოგრაფიული ცენტრის დაარსება. გიორგი ჩიტაიას თავისი მოღვაწეობის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი კვლევა და სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც მეცნიერის ავტორობით სუთლომეულადაა გამოცემული. 30 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ეთნოგრაფთა და არქიტექტორთა სავლელ კვლევითი, თეორიულ-პრაქტიკული სამუშაოები და საგანმანათლებლო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასევე, აკადემიკოსს გიორგი ჩიტაიას სახელს უკავშირდება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება, მუზეუმის სტრუქტურისა და დაგეგმარების შემუშავება. ეთნოგრაფიული მუზეუმი 1987 წლიდან გიორგი ჩიტაიას სახელს ატარებს.



(პირველი გვერდიდან)

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხებო წლებად წელს. საკმაოდ დატვირთული, რთული წელი იყო, მაგრამ ვფიქრობ, ამ გამოწვევებისა და პრობლემების მიუხედავად, საკმაოდ წარმატებული წელი გვექონდა ყველას ერთად, რაც დაგვირგვინდა გამორჩეული, სამაგალითო არჩევნების ჩატარებით. 2 ოქტომბრის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი ქვეყანა განუხრელად ადგას დემოკრატიული რეფორმებისა და ევროპის გზას, ნატოს გზას და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არავის სურს არც არეულობა. პირიქით, ჩვენი მიზანია, ქვეყანაში დამატებითი გრძელვადიანი მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარება და ჩვენ ყველამ მთელი ჩვენი ენერჯია და ძალისხმევა უნდა მივმართოთ განვითარებაზე, კეთილდღეობის მოტანაზე ჩვენი მოსახლეობისთვის და რაც მთავარია ჩვენი ქვეყნის გაერთიანებაზე.

მინდა, მოკლედ შევეხებო ნატოსთან თანამშრომლობას – მოგახსენებთ, პატრონ მინისტრთან ერთად მე ახლახან მქონდა შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან. ბუნებრივია, ჩვენ გვაინტერესებდა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, მათგან კიდევ ერთხელ მიგველო დადასტურება და დავერწმუნებულყავით, რომ მათი პოზიცია არის ურყევი, ისევე, როგორც ჩვენი პოზიცია არის ურყევი და უცვლელი, რომ საქართველოს მთავრობისა და რაც მთავარია, ქართველი ხალხის ურყევი ნებაა, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა. ეს არის ჩვენი მთავარი დიდი იდეა და ამოცანა. ამ მიმართულებით ჩვენ ვაგრძელებთ ნატოსთან პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმების სრული სპექტრის ეფექტურ გამოყენებას. წინა წლების მიღწევებზე დაყრდნობით, განვაახლებთ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტს. დღეს იგი უფრო დინამიკურია, მორგებულია ჩვენს საერთო ეროვნულ პრიორიტეტებზე, ამოცანებზე, საჭიროებებზე და უსაფრთხოების საერთო მიზნებზე.

ამასთან, ალიანსი უპრეცედენტო ყურადღებას აქცევს შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებას, რაც უდავოდ გულისხმობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მთელი რეგიონის უსაფრთხოების გამყარებას და განმტკიცებას.

მსურს, ხაზი გავუსვა აშშ-ის თავდაცვის მდივნის ლიდ ოსტინის ვიზიტის მნიშვნელობას, რომელიც რამდენიმე თვის წინ შედგა და რომელიც თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებებს შორის გაფორმდა ახალი მეგობრანდული – საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა (Georgia Defense and Deterrence Enhancement Initiative). დოკუმენტი თანამშრომლობის შემდგომ ეტაპებსა და პროგრამებს განსაზღვრავს. ეს მნიშვნელოვანი ფორმატი მხარს უჭერს საქართველოს თავდაცვის ძალებისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარებას უახლოეს მომავალში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა.

რა თქმა უნდა, არც ერთი წუთით არ ვიწყნებები და არ მოვადუნებ ყურადღებას, ვინაიდან ჩვენთვის მთავარი დიდი ოცნება და მიზანი არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დეოკუპაცია. ჩვენი საერთო ძალისხმევის შედეგია და თქვენი, ძვირფასო ელჩებო, საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება, არაღიარების პოლიტიკის ძალიან ეფექტური გატარება, ამ პროცესების ინტენსიფიკაცია, როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო არენაზე ყველა, მათ შორის უმაღლეს დონეზე. ამიტომ, ამ მიმართულებით თქვენს მიერ გაწეული ძალისხმევა იმსახურებს ძალიან მაღალ შეფასებას და კიდევ ერთხელ მაგლობას გინდით ამისთვისაც.

წინასწარსახლწლო გულახდილი საუბარი ელჩებთან

საპარტიულო პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მეზობლებთან ურთიერთობას და რეგიონში დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა მათ შორის ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისთვის, უსაფრთხოებისთვის. მე მქონდა არაერთი ვიზიტი თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება, ამერიკასთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. თქვენთვის ცნობილია, რომ შემდეგ კვირას ოფიციალური ვიზიტით ვესტუმრები გაერთიანებულ საამიროებს და მონაწილეობას მივიღებ მსოფლიო გამოფენაში „Expo-2020“. პანდემიის გამო ეს ერთი წლით გადაინია და საქართველო ღირსეულად წარმოჩინდება მსოფლიო გამოფენაზე და გვექნება ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი შეხვედრები, მათ შორის ბიზნესის წარმომადგენლებთანაც. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს მეტი ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში.

პანდემიამ მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკურ სტაბილურობაზე ძალიან ნეგატიური, უარყოფითი გავლენა იქონია. ჩვენი მთავრობა სრულად აცნობიერებს ამ გამოწვევას და საპასუხოდ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაუდგია.

პრემიერად დანიშნის დღიდან მთავარი ყურადღება, აქცენტი გადატანილი მაქვს, გარდა შიდა პოლიტიკური ვითარებისა თუ საგარეო პოლიტიკისა, ეკონომიკის აღდგენაზე. ვფიქრობ, ამ მიმართულებითაც ძალიან ეფექტური და რაც მთავარია, შედეგანი ნაბიჯები გადავდგით ჩვენს გუნდთან ერთად და ამიტომაც, უპრეცედენტოდ სწრაფად მოვახერხეთ ეკონომიკის დროული აღდგენა, სტიმულაცია, დივერსიფიკაცია და ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა. წინა წლების კლების შემდეგ მარტივად ყოველთვიური ეკონომიკური ზრდა

დადებით მაჩვენებელში გადავიდა, გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, წელს დაგეგმილი ორნიშნა ეკონომიკური ზრდით, რაც რეგიონში კი არა, ევროპაშიც უპრეცედენტოა ირლანდიის შემდეგ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი მთავარი ამოცანაა ეკონომიკის ზრდა, განვითარება და ეს პროგრესი აისახოს ჩვენს თითოეულ მოქალაქეზე. მთავარი გამოწვევა არის სიღარიბე, უმუშევრობა და უახლოესი კვირების განმავლობაში ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ახალ ხედვას წარვადგინებ და ეს იქნება ჩემი მთავარი ოცნება, მიზანიც და იდეაც.

ჩემი დავალებით ჩვენ უკვე ვმუშაობთ ახალი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე და მალე ყველა იხილავს, რომ ძალიან ქმედით და ეფექტურ, შედეგიან ნაბიჯებს გადავდგამთ. მათ შორის გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები, რომელიც უკავშირდება საზღვარგარეთის უკუქმნას, სოციალური პოლიტიკის შეცვლას, რომელიც კატასტროფული, დამლუპველია, რადგან ჩვენ თაობებს ვკარგავთ უბრალოდ, ადამიანები მივაჩვიეთ უმუშევრობას და არაღიარებულ გავხადეთ მძევლები ამ არასწორი, არაჯანსაღი სოციალური პოლიტიკისა და ეს უნდა შეიცვალოს. ამის თაობაზე მე დიდად უკვე დავინყე საუბარი. ამ მიზანს უკავშირდება ონლაინ-კაზინოების შეზღუდვა, მაღალია ჩვენს პარლამენტს, დეპუტატებს, მესამე მოსმენით დაქარბული ტემპებით იქნას მიღებული და ონლაინ-კაზინოებში ჩართული ასობით, ათასობით ადამიანი უნდა გადავიყვანოთ სხვა საქმიანობაზე. თქვენ ინფორმაციისთვის გეტყვი, რომ 1,5 მილიარდს ხარჯავდა ისევ გაჭირვებული, ღარიბი ფენა, სოციალურად დაუცველები, რომლებიც უსაქმურობის გამო, იმის გამო, რომ ვერ მუშაობდნენ, იმის გამო, რომ სისტემამ უბრალოდ ისინი დააშინა და ვერ მუშაობდნენ, რადგან თუ მუშაობას დაიწყებდნენ, მოეხსნებოდათ სოციალური დახმარება, ამ მაკეიერ წრეში ჩაერთვნენ, როგორცაა ონლაინ-კაზინოები, თამაში, ნარ-

ალამიანები მივანვიით უმუშევრობას და რეალურად გავხადეთ მძევლები ამ არასწორი, არაჯანსაღი სოციალური პოლიტიკისა და ეს უნდა შეიცვალოს. ამის თაობაზე მე დიდად უკვე დავინყე საუბარი. ამ მიზანს უკავშირდება ონლაინ-კაზინოების შეზღუდვა, მაღალია ჩვენს პარლამენტს, დეპუტატებს, მესამე მოსმენით დაქარბული ტემპებით იქნას მიღებული და ონლაინ-კაზინოებში ჩართული ასობით, ათასობით ადამიანი უნდა გადავიყვანოთ სხვა საქმიანობაზე. თქვენ ინფორმაციისთვის გეტყვი, რომ 1,5 მილიარდს ხარჯავდა ისევ გაჭირვებული, ღარიბი ფენა, სოციალურად დაუცველები, რომლებიც უსაქმურობის გამო, იმის გამო, რომ ვერ მუშაობდნენ, იმის გამო, რომ სისტემამ უბრალოდ ისინი დააშინა და ვერ მუშაობდნენ, რადგან თუ მუშაობას დაიწყებდნენ, მოეხსნებოდათ სოციალური დახმარება, ამ მაკეიერ წრეში ჩაერთვნენ, როგორცაა ონლაინ-კაზინოები, თამაში, ნარ-

კომანია და ა.შ. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება მედიკამენტების ფასების შემცირება, ამაზე აქტიურად ვმუშაობთ და საბოლოო ჯამში, ძალიან მალე სწრაფი ეფექტი გვექნება უახლოეს 1-2 თვეში. ამის შემდეგ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ძალიან მნიშვნელოვანი მუშაობა.

ჩემი დავალებით, ჩვენ უკვე გავაკეთეთ ათწლიანი გეგმები და ეს არ არის მხოლოდ ტრადიციული ნათქვამი, ეს არის დეტალური, კონკრეტულად განვირეული გეგმები, რაც არის თითოეული უწყების მხრიდან. ყველა უწყებამ იმუშავა ძალიან ნაყოფიერად. ჩვენ 6 თვის განმავლობაში შევიმუშავეთ თითოეული უწყების მიმართულებით სექტორული განვითარების გრძელვადიანი გეგმები ჩაშლილი ყოველწლიური კონკრეტული ხედვებით. ჩვენი საერთო ამოცანა უნდა იყოს, 2030-ში, მანამდეც, რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველწლიურად გვექნება პროგრესი, მინიმუმ უნდა გავაორმაგოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და მთავარი გამოწვევა, მთავარი იწორი უნდა იყოს და დავალებით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან და უახლოესი კვირების განმავლობაში ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ახალ ხედვას წარვადგინებ და ეს იქნება ჩემი მთავარი ოცნება, მიზანიც და იდეაც.

ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი საინტერესო ნაბიჯი იყო, იცით, რომ ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „Rothschild“-ი დავიქირავე. მსოფლიოში რიგით მეორე და ევროპაში პირველი ფინანსური ჯგუფია, მისი ერთ-ერთი ინიციატივაა, საქართველო ეტაპობრივად გარდაიქმნას და პოზიციონირდეს, როგორც აღმოსავლეთის ლუქსემბურგი. Luxembourg of the East – ეს იყო მათი ერთ-ერთი იდეა და შემოთავაზებდა. ასევე დიდი დაინტერესება იმისა, რომ საქართველო გარდაიქმნას, პოზიციონირდეს, როგორც რეგიონული ფინანსური ჰაბი და სტრატეგიული ინვესტიციების მოძიებაც იქნება მუშაობა და საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ახალი ფინანსური რესურსების შემოდინებაზეც.

ჩვენი საერთო ინტერესი უნდა იყოს ინვესტიციების მოზიდვა და ამ მიმართულებით უნდა გავაქტიუროთ მუშაობა ორმხრივ ფორმატში ადგილობრივ ქვეყნებში და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან – აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან, ევროკავშირთან, აზიის ქვეყნებთან. ამიტომ გვჭირდება მეტი მჭიდრო კონტაქტების დამყარება ბიზნეს-რეგულაციების, არსებული კავშირების გამოყენება და გვჭირდება მეტი ინვესტიცია, მეტი საზღვარგარეთი ინვესტიცია, მეტი კეთილდღეობა ჩვენი მოსახლეობისთვის და საქართველოს წარმატებული მაგალითის კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაცია. ჩვენ ეს შეგვიძლია, ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს სათქმელი და ძალიან ბევრი მიღწევით, პროგრესით შეგვიძლია ვიანაწყოთ, მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რომელიც რეგიონშია და ჩვენს ქვეყანაშია, როგორცაა ოკუპაცია, რომელიც შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი ბარიერი ინვესტიციებისთვის, მაგრამ ჩვენი პრაგმატული, გონივრული და პროგნოზირებადი პოლიტიკის გამო, ვფიქრობ, ამ ფსიქოლოგიურ ბარიერსაც დავძლევთ და ინვესტიციებსაც დავარწმუნებთ, რომ ინვესტიცია საქართველოში არის დაცული.

მსოფლიო ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენლობებს საკვანძო ადგილი უკავია საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან ურთიერთობებში, ჩვენს დიასპორასთან. ვამუშავებ სხვადასხვა იდეას, რომელიც უკავშირდება ჩვენს დიასპორას. ზოგადად ამ მიმართულებით ჩვენ უნდა გავაქტიუროთ მუშაობა, უფრო ძლიერი კოორდინაცია სჭირდება დიასპორას და დიასპორის პოტენციალის, რესურსების გამოყენება არის საინტერესო და აუცილებელი. ამიტომ, უნდა გავაძლიეროთ მათზე ზრუნვა, მეტი მხარდაჭერა სჭირდება ჩვენს დიასპორას, ხელი უნდა შევუწყოთ ყველას, ვისაც საქართველოში დაბრუნების სურვილი აქვს.

კიდევ ერთხელ, მინდა მაგლობა გადავიხადოთ თქვენი შრომისა და პროფესიონალიზმისთვის, თქვენს სამართლებრივ მაღალ დონეზე უზრუნველყოფას საპარტიულო ინტერესების დაცვას საზღვარგარეთ, ეფექტიან ურთიერთობას პარტნიორებთან და მომავალი მიმართულებების განვითარებას. კიდევ ერთხელ მაგლობა ყველაფრისთვის, ბისურვეთ წარმატებას და ნაყოფიერი კონფერენციის ჩატარებას! ზედმეტი ახალი წელი და წარმატება!

23 დეკემბერი, 2021

კვირის საჩუქარი მიიღო ამ წინასახალწლო დღეებში ქართველმა მკითხველმა: გამომცემლობა „პოლარის პრინტი“ სასიქადულო მეცენატის ვახტანგ ვეფხვაძის თანადგომით, გამოვიდა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდი შემოქმედის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი წიგნი, რომლის საჯარო წარდგენა 19 დეკემბერს, ნიკოლოზობა დღეს, დედაქალაქის ძველი ნაწილის კულტურულ ცენტრ „მუხრან-თუბანში“ გაიმართა.

მიუხედავად პანდემიის მიზეზით დაწესებული გარკვეული შეზღუდვებისა, იმ საღამოს „მუხრან-თუბანში“ ცენტრის კულტურის სივრცეში საკმაოდ ხალხმრავლობა იყო.

წიგნის წარდგენა დოკუმენტური კინომასალის ჩვენებით დაიწყო, რომელზეც გიორგი ლეონიძის საჯარო გამოსვლების ფრაგმენტები, მისი კახეთის, მშობლიური პატარძელისა და ნინოშინდის, იქაური ბუნების, ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებისა და ზვრების წარმტაცი ხედები, სახალხო ზეიმებისა და საქართველოს მხარეებში მოგზაურობები და იქაური შეხვედრები იყო ასახული. ყველაფრის გვირგვინი კი ამ არაჩვეულებრივად გულისგამთობ კადრებზე დადებული პოეტის ხავერდოვანი ხმა გახლდათ, რომელიც საკუთარ ლექსებს კითხულობდა.

ამ არაჩვეულებრივი გამოცემის საჯარო წარდგენას უძღვებოდა წიგნის რედაქტორ-შემდგენელი, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, რომელიც წიგნის წინათქმასში წერს: „დიდი სახელებით დამშვენებულ ქართულ მწერლობაში თავისი ელვარებით სრულიად გამორჩეულია „მთაწმინდის ბინადარი“ – გიორგი ლეონიძე – გოგლა, მისი ხმა...“

ჩემთვის სამშობლო განა მართლამაზი მთები და ველ-მინდვრებია, სამშობლო ჩემთვის გოგლა ლეონიძეა, რომლის სუნთქვითაც ყოველი მისი სიტყვა გაჟღერებულია. ამ ბუმბერაზი მწერლისადმი, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოცემა დღევანდლამდე ბევრი იყო და ახლა კიდევ ერთი შეემატა, განსხვავება ისაა, რომ მასში, ქართველ მწერალთა, პოეტთა, ლიტერატორთა თუ ახლოზელთა წერილებისა და მოგონებების გარდა, შესულია მისი პოეტური და პროზაული შედევრები.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ვალერი ასათიანის მიერ კომპოზიციურად არაჩვეულებრივად შედგენილ წიგნში რამდენიმე საყურადღებო მოგონება ვერ მოხვდა, ის ძალიან დიდ ლიტერატურულ ფასეულობას წარმოადგენს.

გოგლა ლეონიძე იმ რამდენიმე ქართველის რიცხვს ეკუთვნის, ვინც საქართველოს ქმნის. მისი „ნატვრის ხე“ ენობრივად ისეთ სიმალღებზეა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ უნდა დავასახელოთ და ორთავე ისეთი წიგნია, კაცს სასთუმალთან რომ უნდა გედოს, – თქვა ჩვენმა უფროსმა კოლეგამ, თავადაც შესანიშნავმა მექართველმა გურამ გოგიაშვილმა. – თითქმის დღე არ გავა, რომელიმე მის ნაწარმოებს თვალი არ გადავაგვლო, ამიტომაც გული

გოგლა ლეონიძე:

გული მაქვს გულთან დაჯახებული...



პატარძალი, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში. ვალერი ასათიანი, ოთარ ბრეგვაძე, ემზარ კვიციანი, დავით სალარიძე, დარეჯან ლეონიძე, ვახტანგ ვეფხვაძე.




წიგნის წარდგენისას. 2021 წლის 19 დეკემბერი

ბი, – თქვა ბატონმა ვალერიმ. – ამ დარბაზში არიან ადამიანები, ვინც პირადად იცნობდა გიორგი ლეონიძეს, ამდენად, ჩვენ ბედნიერი თაობა ვართ, ვისაც გვახსოვს იგი.

აქვე აუცილებლად უნდა მოვასხენო უდიდესი მადლობა წიგნის გამოცემის იდეის ავტორს და სულისჩამდგმელს ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს, რომლის თანადგომის გარეშე ის დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ასევე ჩემი უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონებს დემიკო ლოლაძესა და კახა ბახტაძეს ფოტოსურათების მომზადებისა და შესანიშნავი დიზაინისთვის.

საზოგადოებას მოეხსენება, რომ გიორგი ლეონიძე დღემდე ჯეროვნად დაფასებული არ არის. ამის თქმის უფლებას თუნდაც ის გარემოება მაძლევს, რომ ამ დიდი ქართველი მწერლის ერთი ლირსული გამოცემა არა გვაქვს, – აღნიშნა პოეტმა ემზარ კვიციანიშვილმა. –



ქართული ლიტერატურის რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავს შორის, გოგლა ლეონიძე ერთ-ერთი გამორჩეულია და ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ, რომ არ დაგვეშვრიტა ჭეშმარიტი სიტყვის მოთხოვნილება, რომლითაც ის გვასაზრდოებს, – თქვა მან.

ბავშვობაში თავის სოფელში ჩამოსვლისას და მისი პაპის ოჯახში გოგლა ლეონიძის სტუმრობის ამბავი ძალზე თბილად გაიხსენა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა, რომელმაც მისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი წაიკითხა.

დღეს ჩემთვის საოცარი დღეა, რომლის არაჩვეულებრივი სიკაშკაშე მთელი ცხოვრება გამყვება, – თქვა პოეტის შვილიშვილმა გიორგი გვინიძემ, რომელმაც სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა წიგნის შემქმნელთა მიმართ. თავად ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ დამსწრეთ მოკლედ უამბო გიორგი ლეონიძის გაცნობისა და მასთან შეხვედრების, ასევე წიგნის გამოცემის იდეის დაბადების ამბავი.

აი, რას წერს იგი შესავალ სიტყვაში: „მქონდა პატივი ვცნობოდი ამ ყოველმხრივ ბუმბერაზ კაცს. ის მუდამ გულთბილად მომიკითხავდა ხოლმე, ხოლო როცა დეიდაჩემი ნინა მას ვინმე გაჭირვებაში ჩავარდნილისთვის ამა თუ იმ დახმარების განწვევის თაობაზე მორიდებული თხოვნით მიმართავდა, რაშიც სრულიად დაუზარელი იყო, მისგან პასუხად ზოგჯერ მშენია: – ამა და ამ კაცს არ ვიცნობო, რაზეც დეიდა „ამშვიდებდა“ – სამაგიეროდ ის გიცნობს, ჩემო გოგლაო... დიდი გოგლაც დიდი მონდომებით და ხალისით ხელს უმართავდა გაჭირვებულ ხალხს...“ – მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას წარდგენაზე დასწრებისთვის.

როგორც ვემოთ ითქვა, წიგნში შესულია გიორგი ლეონიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები, მოგონებები, ლექსები, ასევე მისი უკვდავი ქმნილებების ერთი ნაწილი.

წერილების ავტორებს შორის არიან გიორგი ქავთარაძე, გურამ ასათიანი, გურამ ბენაშვილი, ნესტან ლეონიძე, სარგის ცაიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, მანანა ჩიტიშვილი, ემზარ კვიციანიშვილი, რევაზ ინანიშვილი, რევაზ ბარამიძე, ლევან მენაბდე, გურამ გოგიაშვილი, შალვა ჩიჩუა, ლაშა გახარია და სხვები. გოგლას ლექსების გარდა კი გამოცემაში დასტამებულია დიდებული „ნატვრის ხის“ ნაწყვეტები.

საღამოს დასასრულს დამსწრეთა წინაშე წარდგა გოგლა ლეონიძის მშობლიური კახეთიდან საგანგებოდ ჩამოსულ ვაჟთა გუნდი, რომელმაც რამდენიმე ხალხური სიმღერა შეასრულა. აქვე საგანგებოდ იმასაც ვიტყვი, რომ წიგნის „გიორგი ლეონიძის“ ტირაჟის დიდი ნაწილი ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ დედაქალაქის და საქართველოს მხარეების საჯარო სკოლებში, ასევე პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა ბიბლიოთეკებს გადასცა.

ოთარ ტურაბალიძე

პროფესიული განათლება საერთაშორისო სტანდარტებით

საპარტოვლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა სამუშაო შეხვედრა გამართა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორთან საქართველოში პიტერ ვიბლერთან. მხარეებმა ერთობლივად განხორციელებული პროექტები შეაჯამეს და 2022 წლის გეგმებზე ისაუბრეს.

მიხეილ ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა პიტერ ვიბლერს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და საქართველოს ზოგადი განათლების რეფორმის მხარდაჭერისთვის. მინისტრმა ხაზი გაუსვა, ამერიკის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, თანადგომის მნიშვნელობას ქვეყანაში საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის. მიხეილ ჩხენკელმა USAID საქართველოს მხრიდან პროფესიული განათლების განვითარებაში შეტანილ წვლილზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი ხუნდოიანი პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ კერძო და საჯარო პარტნიორობას კიდევ უფრო გააღრმავებს და პროფესიული უნარების სააგენტოს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ პროფესიული განათლების რე-

ფორმის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სისტემის ინტერნაციონალიზაციაზე. მისი თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის ინიციატივით, პროფესიული განათლების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან უცხოელი მასწავლებლები, რაც საერთაშორისო სტანდარტით სწავლებას შეუწყობს ხელს. მიხეილ ჩხენკელმა ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული უნარების სააგენტოს პოლიტიკა და მომდევნო წლიდან დაგეგმილი პროექტები სრულ თანხვედრაშია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივასთან, რომელიც სოციალური კეთილდღეობის სისტემის რეფორმის განხორციელებას გულისხმობს.

თავის მხრივ, USAID საქართველოს მისიის დირექტორმა დადებითად შეაფასა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები და აღნიშნა, რომ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფუძნება არის მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი. მისი თქმით, კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება და მათი ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის შექმნისა და დანერგვის პროცესში უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია.

მეროპაში აშშ-ის არმიის ყოფილი მეთაური, CEPA-ს (ევროპის პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრი) სტრატეგიული კვლევების კათედრის გამგე ბენ ჰოჯესი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ნატოს გენმდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრისას ბუქარესტის სამიტის გადამწყვეტილებაზე ყურადღების გამახვილებას ეხმარება და აცხადებს, რომ „ეთანხმება პრემიერის განცხადებას, რომ საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის სუვერენული უფლება ყველა სახელმწიფოს აქვს“.

როგორც ჰოჯესმა „აქცენტთან“ საუბრისას აღნიშნა, „ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის საქართველომ წინააღმდეგობა გაუწიოს კრემლის ძალისხმევას, ძირითადი გამოუთხაროს ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტს და დააბრკოლოს ნებისმიერი სა-

ბენ ჰოჯესი: პეტანსები საქართველოს პრემიერის განცხადებას!



საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის სუვერენული უფლება ყველა სახელმწიფოს აქვს

ხელმწიფო, აირჩიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი.

„ეთანხმები პრემიერის განცხადებას, რომ საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის სუვერენული უფლება ყველა სახელმწიფოს აქვს. ნატო ყოველთვის მხარს უჭერდა ამას და ამ საკითხზე პოზიცია აშშ-ის მთავრობამაც გამოხატა. სწორედ ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ ყველამ, მათ შორის საქართველომ, წინააღმდეგობა გაუწიოთ კრემლის ძალისხმევას, ძირითადი გამოუთხაროს ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტს და დააბრკოლოს ნებისმიერი სა-

ხელმწიფო, აირჩიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი. რუსეთს, რა თქმა უნდა, ლიბერალურ-დემოკრატიული უკრაინის და საქართველოსი უფრო ვიზინია, ვიდრე თავად ნატოსი, რადგან კრემლში იციან, რომ საკუთარ ჩაგრულ მოსახლეობასაც იგივე მოესურვება“, – განაცხადა ჰოჯესმა.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის გზავნილს, რომლის თანახმად, „დადგა საქართველოს ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების და კონკრეტული პოლიტიკური გა-

დანყვეტილებების მიღების დრო“, ამერიკელმა გენერალმა აღნიშნა, რომ „საქართველომ უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები საკუთარ ლიბერალურ-დემოკრატიულ და ეკონომიკურ მომავალზე“.

„ნამდვილად სურს, საქართველოს დასავლური ინტეგრაცია არა მხოლოდ ნატოში, არამედ ყველა სხვა ასპექტში და მზად არის განახორციელოს მძიმე სამუშაო, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში გამჭვირვალობისა და ძლიერი ლიბერალური დემოკრატიული ინსტიტუტების უზრუნველსაყოფად? გამოწვევების საპასუხოდ მუშა-

ობა არასოდეს არის იოლი და შედეგი არასოდეს მოდის შრომის გარეშე“.

ჰოჯესი მიიჩნევს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის მთავრობამ შეიმუშაოს ფართო სტრატეგია შავი ზღვის დიდი რეგიონისთვის“.

„ზიანდენის ადმინისტრაცია მხარს უჭერს ნატოს „ლია კარის“ პოლიტიკას და ნატოში საქართველოსა და უკრაინის განწევრებას. თუმცა მიმართა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის მთავრობამ შეიმუშაოს ფართო სტრატეგია შავი ზღვის დიდი რეგიონისთვის, დიპლომატიური და ეკონომიკური საკითხების ჩათვლით ისევე, როგორც სამხედრო თანამშრომლობის კუთხით. ეს სტრატეგია და უფრო ძლიერი, გრძელვადიანი ორმხრივი ურთიერთობა საქართველოსთან უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი“.



ან ჩამოსვლა რა იყო, ან წასვლა, – ასეთი შთაბეჭდილება დატოვა 11-ლიანი პაუზის შემდეგ სააკაშვილის ბიძის ვოიაჟმა საქართველოში. ბიძა ჩნდებოდა მაშინ, როცა მის დის შვილს უჭირდა. ასე იყო აგვისტოს ომის წინა დღეებშიც, თუმცა იმ პერიოდში როგორ აისახა თემურ ალასანიას სტუმრობა საქართველოში, ყველა იხილა დაკარგული ტერიტორიებისა და უდიდესი ადამიანური მსხვერპლის სახით.

ალასანიას შესახებ ბევრი ტყუილ-მართალი ვრცელდება. ამბობენ, რომ იური ანდროპოვის ვაჟი მისი ახლო მეგობარი იყო, ამიტომაც ახალგაზრდობიდანვე წარმატებით წარიმართა მისი კარიერა რუსეთის დაზვერვაში.

თემურ ალასანია ირწმუნება, რომ არასდროს მიუღია მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან ის არ არის პოლიტიკოსი. უფრო მეტიც, წლების წინ მიცემულ ინტერვიუში თემურ ალასანია ამტკიცებდა, რომ არასდროს მიუცია რჩევები პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, არც ერთი მინისტრისთვის და სახელმწიფო მოხელისთვის. უბრალოდ, მისი საქმიანობა საქართველოში მხოლოდ პრეზიდენტყოფილის საგანმანათლებლო პროგრამის ხელშეწყობაში გამონათქვამია, რისი ნათელი მაგალითიცაა პრეზიდენტ სააკაშვილის ბიბლიოთეკის მშენებლობა.

თემურ ალასანიას სწამს, რომ ყველა საუკუნე იწყება ორჯერ – კალენდარულად და იმ დიდი მოვლენით, რომელიც სახეს აძლევს, უქმნის საერთო ნარატივს ყველა მომდევნო მოვლენას. ამ მხრივ ის ფიქრობს, რომ 21-ე საუკუნე დაიწყო საქართველო-რუსეთის ომით, რომლის ლოგიკური გაგრძელებაა უკრაინა, უკრაინას კი მოჰ-

სოსო ცინცაძე: თვითონ მიზანს აღარ აქვს ის ავტორიტეტი, რას ჰქონდა და მის ბიძას საიდან უნდა ჰქონდეს?

ყველა „სხვა საქართველოები და უკრაინეები“, თუკი საერთაშორისო თანამეგობრობა არ მიიღებს ზომებს.

თემურ ალასანიასთვის არც გიორგი მარგველაშვილი იყო პრეზიდენტის იდეალი. მის შესახებ ალასანია ამბობდა: „კალიგულამ სენატში ცხენი შეიყვანა. ახლა ვითომ რითი არ სჯობს ცხენს მარგველაშვილი?!“

ცნობილია ისიც, რომ თემურ ალასანია წლების წინ ღარიბაშვილის წინააღმდეგაც გეგმავდა სარჩელის შეტანას და მისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. ალასანიას განსაკუთრებული გაღიზიანება მაშინდელი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებმა გამოიწვია: „ჩემი ინფორმაციით, ის (თემურ ალასანია) კვბ-ს ყოფილი პოლიკოვნიკია, ყოფილები, ხომ იცით, არ არსებობენ ამ სფეროში“.

დღეს საკმაოდ პოპულარულია მოსაზრება, რომ სააკაშვილი ციხიდან ვეღარ მართავს პროცესებს, ამიტომაც ბიძამისი, თემურ ალასანია მოიხმო ვაშინგტონიდან.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე რატი იონათამიშვილი ფიქრობს, რომ, ფაქტობრივად, თემურ ალასანიას აქამოსვლით „ნაცმოძრაობამ“ აღიარა ის კრიზისი, რაც ამ პოლიტიკურ პარტიაში არსებობს, კერძოდ, „ნაცმოძრაობას“ ხელიდან გაეცა დღის წესრიგი.

რისთვის ჩამოვიდა ალასანია საპარტიო დონეზე და რატომ წავიდა? რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელი და სუპ-ის გამომცემელი ბანერაძე, რომელიც ალასანიას უწოდებენ, ცხადია, სსსიროდ არ ჩამოვიდა საპარტიო დონეზე. რა დახმარება უნდა აღმოეჩინა სააკაშვილისთვის?

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს, რომ სააკაშვილის დასახმარებლად თემურ ალასანია ჩამოვიდა ერთხელ. ეს იყო, როდესაც სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი, მაშინ თემურ ალასანიამ აიღო ერთწლიანი შევებულება ბაეროში, სადაც ის მსახურობდა და საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ მაშინაც ქართული ოპოზიცია „შტიკვიტ“ შეხვდა ამ ამბავს. სოსო ცინცაძე იხსენებს, ლევან ბერძენიშვილი როგორი აღფრთოვებული ლაპარაკობდა, ჩვენ ეგ არ აგვირჩევია არც პარლამენტში, არც ხელმძღვანელად და რატომ

ესწრება უშიშროების საბჭოს სხდომებსო?! ასე რომ, ცოტა ხანს იყო ალასანია საქართველოში და მერე ისევ წავიდა უკან.

„არ მიიღო ის ჩვენმა საზოგადოებამ, მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში არა მგონია, თემურ ალასანია პიროვნულად იმხელა ავტორიტეტით სარგებლობდეს ოპოზიციაში, ოპოზიციის ლიდერებში, რომ „ნაცმოძრაობას“ დახმარება აღმოეჩინოს. თვითონ მიზანს აღარ აქვს ის ავტორიტეტი, რაც ჰქონდა და მის ბიძას საიდან უნდა ჰქონდეს ეს ავტორიტეტი? მით უმეტეს, თემურ ალასანიას შლეიფად მოსდევს მისი ბიოგრაფია – რუსეთის მოქალაქეობა, შეიძლება ახლა აღარ არის რუსეთის მოქალაქე, ადრე კი ნამდვილად იყო რუსეთის მოქალაქე, დღეს ის ამერიკის მოქალაქე ნამდვილად და სპეცსამსახურებთანაც ნამდვილად არის. ამიტომ ეჭვი მეპარება, თემურ ალასანია საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად ჩამოსულიყო. შეიძლება ჩამოვიდა იმიტომ, რომ მაინც და არის მისი გიული ალასანია, დისშვილია სააკაშვილი. ასე რომ, პერიოდულად ჩამოდის ხოლმე საქართველოში“, – აცხადებს სოსო ცინცაძე და, შეკითხვის საპასუხოდ, რამდენად მართალია, რომ თემურ ალასანია აგვისტოს ომის წინა პერიოდში იყო ჩამოსული საქართველოში, როცა რუსეთმა ცხინვალში შესვლის გარანტიები მისცა სააკაშვილს, რასაც ბათუ ქუთელიაც ადასტურებს, სოსო ცინცაძე განმარტა, არავითარი გარანტიები რუსეთს არ მიუცია.

პოლიტოლოგის შეფასებით, მაშინდელი დაზვერვისა და ანალიტიკურმა სამსახურებმა, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ ემსახურებოდნენ, გამოავლინეს ნული პროფესიონალიზმი. მათ დაიჯერეს, რადგან რუსეთი ჩუმად იყო, მისთვის ცხინვალის რეგიონი არაფერს წარმოადგენდა. მაშინ გაბატონებული აზრი იყო, აფხაზეთი რუსეთისთვის ფასეულია, ცხინვალის რეგიონი კი რაში აინტერესებს რუსეთს. ეს მცდარი და დილტანტური აზრი იყო.

„სად იყო იმ პერიოდში ჩვენი საელჩო მოსკოვში? საელჩოს რამე ინფორმაცია არ უნდა ჰქონოდა? სად იყო ჩვენი საგარეო დაზვერვა, თავისი უფროსი ბეჭუაშვილით? პირიქით, რუსეთი გარანტიებს აძლევდა კო-

კოვეს და, როცა ჩვენმა ჯარმა ცხინვალის აიღო, რუსეთის ტელევიზიით გამოვლიდა კოკოვეი და ცოფებს ყრიდა, „დე იბეა-ანჩა რომოდას“ რუსეთი კოკოვეს ეხმარებოდა და არა ჩვენ. მაშინ კულახმეტოვმა წერილიც დაწერა, კოკოვეი აღარ გვემორჩილება, დამოუკიდებლად მოქმედებს და ვეღარ ვმართავთ... ბომბავდნენ და ბომბავდნენ ქართულ სოფლებს, ქართველები დახმარებას ითხოვდნენ. რუსებმა წვრთნები ჩაატარეს, როკის გვირაბთან იყვნენ მომდგარნი. რატომ არ მიანოდეს ინფორმაცია მაშინდელ პრეზიდენტს დაზვერვის სამსახურებმა? აგერ იყო ცხინვალის რეგიონი, ბრახილიასავით დაშორებული ხომ არ იყო ცხინვალს? მაშინ ჩვენი პრემიერი ბანკირი გურგენიძე იხსნდა, ინტერნეტში ვნახე, რუსეთი არ ჩაერევა საქართველოს შიდა საქმეებშიო“, – აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ თემურ ალასანიას ვიზიტი არ ყოფილა შემთხვევითი, როგორც თვითონ თქვა, ახალი წლის მოსალოცად და ოჯახის მოსანახულებლად ჩამოვედით. მისი ვიზიტი ემსახურებოდა სწორედ სააკაშვილისთვის დახმარების განცხადებას და „ნაცმოძრაობაში“ სიტუაციის დალაგებას.

„ადამიანმა თვითონვე ღია ადევრეო გაანაცხადა, პარტიამ საკმარისი და ადეკვატური მხარდაჭერა არ აღმოეჩინა სააკაშვილსო. ფაქტობრივად, ეს იყო ნიკანორ მელიას ბოსტანში ნასროლი ქვა. მას საყვედურობდა „ნაცმოძრაობის“ რადიკალური ფრთა, რომ მელია მართავდა მიტინგებს და ეს მიტინგები უშედეგოდ მთავრდებოდა, მოითხოვდნენ მისგან რადიკალურ ქმედებებს, რაზეც მელია არ მიდიოდა. ხომ ვნახეთ, რა განაცხადა თემურ ალასანიამ, პარტიამ გააკეთა შესაძლებელი, მაგრამ შეუძლებელი არ გააკეთა, რადგან სააკაშვილი ჯერ კიდევ ცხინვალში იყო. შესაბამისად, თემურ ალასანიას სურდა პროცესების კიდევ უფრო მეტი რადიკალიზაცია, რომ პარტიის მართვის სადავები ხელში აეღო რადიკალურ დაჯგუფებას. როგორც ჩანს, სააკაშვილის ციხიდან დახსნის სხვა გზას ისინი ვერ ხედავდნენ“, – აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ.

პარმა ხანია, მისი უდიდესი მხარდობა - პოეზია მხოლოდ ლა- მაზი რითმებით, მოხდენილი მეთაფორებითა და, მით უმეტეს, ვიზუალური აღარ ფასდება (დაახ, დაახ, გუშინდელი მახ- სოვს, ამ სამიოდე წლის წინათ, საშუალო „რეიტინგის“ მქონე პოეტზე ყურებამდე შეყვარებული კრიტიკოსი როგორ გვაკ- ვალიანებდა - მისი ლექსი ვიზუალურადაც პოეზიააო!..)

როგორც ინგლისელი პოეტს, სემუელ კოლრიჯს უთქვამს, შეუძლე- ბელია, იყო პოეტი და, იმავდროულად, ფილოსოფოსი არ იყო. ჩვენი აზრითაც, უსაგნო და უიდეო ლექსი პოეზია ვერ იქნება!.. საუკუნის წინათ რუსულ პოეზიაში ფეხი მოიკიდა იმპერიალიზ- მა, რაც ფეხდნებოდა მართოდენ გარეგნულ სამკაულს - რით- მას და, ქართული ფურთურისტიკით, პრინციპულად უარყოფ- და იღვას, შინაარსს.

არცთუ უცნობ დეკადენტ პოეტს, ფიოდორ სოლოგუბს, ასე- თი „ჩეტვეროსტიში“ აქვს: „ლილა, ლილა, ლილა კაჩალა, დვა ტელნო-ალიე სტეკლა, მელეი ლილე, ალეი ლაღა მელა მი- ლა ი ტი ალა“.

ისე, ქართველი მკითხველისთვის ამ უაზრობას ერთგვარი ინ- ტერესი მაინც გააჩნია - რუს ლირიკოსს, საიდან სადაო და, ორი ქართული სიტყვა გამოუყენებია: ლილა და ლალი!..

ჩვენი მოკრძალებული აზრით, რო- გორც ჩანს, ჭეშმარიტი პოეზიის საზო- მად მხოლოდ ერთადერთი უნიკალური ინდიკატორი არსებობს - თანაგანც- დის, თანაღმობის გამოწვევის ჯადოს- ნური უნარი! თანაც, ეს უნარი სინთე- ზური აღნაგობისაა: დამოკიდებულია ავტორის ნიჭიერებასა და მკითხველის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე! რა იგულისხმება ახლა ამ „ინტე- ლექტუალურ შესაძლებლობებში“?

გვეჩვენება, რომ ტერმინი „ინტელექ- ტი“ არცთუ სრულყოფილია და განმარ- ტებული ლექსიკონებში.

ასე, მაგალითად, თავისთავად მშვე- ნიერ გამოცემაში - მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ („განათ- ლება“, 1989 წ., გვ. 159), ვკითხულობთ: „დაამიანის აზროვნების უნარი. გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების დონე“. ჯერ ერთი, „ჭკუა“ ამ კონტექსტში ნამეტ- ნავად „ჩუხს“, უცხოდ გრძობს თავს. მე- ორეც ისა, რომ ამ ჩამონათვალს ერ- თი ფრიად გასათვალისწინებელი რამ აკლია - აზროვნების ხარისხი!

ფიქრობთ, სადავო არაა, რომ „გო- ნებრივი განვითარებაში“ ავტორის გა- ნათლებულობა იგულისხმება, მაგრამ არანაირი განათლება არ ჰქონია პო- ეტს, რომელმაც პირველმა შეადარა ქალი ვარდს!

ისეთი გამორჩეული ინტელექტუა- ლი, ლიტერატურათმცოდნე და პრო- ზაიკოსი, როგორც ბატონი აკაკი გა- წერელია ბრძანდებოდა, ერთგან წერს: „ისეთი დიდი ინტელექტის ადამიანს, როგორც ნიკოლოზ მანათაშვილი იყო, შეეძლო ღრმა მოხუცებულობამდე ეწე- რა შედეგებში“.

მკვლევრის აზრით, ინტელექტი არსე- ბობს როგორც დიდი, ასევე პატარა, ანუ როგორც მძლავრი, ასევე სუსტი, თორემ გიმნაზიადამთავრებულ, კანცელარიის უმ- რალო მოხელედ მომუშავე, ოფიცრობაზე მყოფებზე ახალგაზრდა კაცს რა განსაკუთ- რებული ჰუმანიტარული განათლება უნდა ჰქონოდა, კიდევაც რომ ნიშნავდეს იგი „დიდ ინტელექტს“!

განათლებული და ნაკითხი (და, თანაც, როგორი!) მისი გიმ- ნაზიელი მასწავლებელი, ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვი- ლი იყო, თუ იყო! მაგრამ „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „მერანი“ მისმა მოწაფემ, ნიკოლოზ მანათაშვილმა შეგვიძინა!

ლექსი და, ზოგადად, პოეტური ნაწარმოები, პირობითად, შეიძლება პრესას შეადრდეს - სპექტაკლად რომ იქცეს, თეატ- რალი მკითხველი სჭირდება!

ხომ საკმარისია ერთი, ერთადერთი ფრაზის მოსმენა, რათა უმაღვე გაგახსენდეთ - რომელი ფილმიდან თუ სპექტაკლიდა- ნაა იგი: „აქ რამ მოვიყვანა, შე მადლიანო შენა?!“ „ჯერ შეიცა- დეთ, ვიდრემდე წახვალთ...“, „ამბობს, ვიცინი, მესხმება“, „გას- პადინ სუღია, ვისო გავიანიტ, ა ნასჩობ სვინიი ნიჩევი ნე გავა- რიტ!“, „იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა“, „მოზაში, დედაკაცო!“, „მეგიაშენმა თუ იცის, ლექსებს რომ წერ?“.

თუმცა, ამ შემთხვევაში, პოეტისა და მკითხველის ვირტუა- ლური ტანდემისგან განსხვავებით, მკითხველის ემოციებზე ზემოქ- მედების მომეტებული ეფექტი იმითაცაა მიღწეული, რომ საქმე- ში „დამატებითი რეაქციები“ ერთგვარად: რეჟისორები, კომპო- ზიტორები, სცენარისტები, განათლებულები კი! მაშინ, როდესაც პოეტსა და მკითხველს შორის კავშირები არ დგას: ერთი თხზავს, მეორე კითხულობს!

და მაინც, პოეტის ვინაობა ერთი ტაქსის, თუნდაც, ერთი სტრი- ქონითაც კი გამოიყვანება, ოღონდ მკითხველის მოსმენით: „დე- დაშვილობამ, მეტს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო!“ „ია პომ- ნიუ ჩუდნოე მგნოვენიე...“ (იმედია, რუსოფილობად არ ჩამეთვ- ლება!), „რამ შემქმნა ადამიანი, რატომ არ მოვედ წვიმად!“ „ტი ყივა, ეშო, მაია სტარუშკა“, „როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“, „სვინცომ ვ გრუდი ი უაჟლოი მესტი, პანიკნუე გორდოი გალა- ვოი!“ „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემოხ- ვიოს ხელი!“ „პოეტომ მოყემ ტი ნე მიტ, ა გრაჟდანიომ მიტ ომი- აზანი!“ „როგორც საძროხე ქვას ომხივარი, ქართლის ხეობებს ასლით ნისლინი“, „უმერეტ ვ ეტოა უიზნი ნე ნოვო, ნო ი ვიტ, კონენო, ნე ნავეი“, „მომიგონებენ, როგორც ნიკოლოზ და თბილ სამარეს დაბაჩებენ“, „ვ ეტოა უიზნი პომერეტ ნე ტრუნდო, სოზდატ უიზნ ვორაზლო ტრუნდენი!“ „ვიყის ხალატი გერჩიოს, თოლივე, მხატვრის და მგოსნის ხალათს“, „უმომ რასიუ ნე პონიატ, აზმი- ნომ ომშიმ ნე იმერიტ“, „მცხეთას ხომ არ მიზმანდებოთ, კონ- სტანტინე ბატონო?“, „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, „ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი, ერთხელაც არვინ ამამყვია“, „გიყვარებარ? - რა ადვილია, მიყვარხარ - რარიგ ძნელი!“ „მე შენ ვიტოვებ ისეთ ნადველს, სხვისას რომ არ ჰგავს!“ „საქართველო, შენ ვინ მოგცა შეილო დასაპარგავი“, „ვკისე, ვკისე, ვერ დავეცე საქართველოს სოცნებო გზები“, „საქართველო, უღრან ტყეში დაკარგული თი- კანი!“ „მთელი სიცოცხლე სამშობლოში სამშობლოს ვეძებ!“.

არათუ სხვასთან, საკუთარ თავთანაც რომ მართალი და სა- მართლიანიც ვიყო, ნიმუშად მოვიშველიებ ე. წ. „თავისუფალ“ ლექ- სებსაც იმის დასტურად, რომ, როდესაც პოეტად მოველენილი ავ- ტორის ლექსს კითხულობ, საერთოდ აღარ იგრძნობა ურითმო- ბა! ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა ორ სხვადასხვა სალექსო ჯურჯელში პო- ეზია როცა ასხია (ტ. ჭანტურია!); ისივავ ტაკობოკუ: „ერთხელ, ხუმრობით, დე- დაჩემი მხარზე შევისვი. იგი იმდენად მსუბუქი იყო, რომ უცებ ცრემლი მო- მერია და ვედარ ვზიდე“ (კ. ლორთქი- ფანიძე).

კიდევ მეტად „მოვიჭერ ქამარს“ და სულაც ოთხსიტყვიან ლექსს შემოვთა- ვებთ: „წავიდა თოვლი, მოვიდა მიწა!“ (შოთა ჩანტლადე).

თვითმიზანი რომ ყოფილიყო, დარ- წმუნებული ბრძანდებოდა, კიდევ არა- ერთი დიდი თუ თვალსაჩინო პოეტის ტაქტი აღმოჩნდებოდა ამ ჩამონათვა- ლში. ვთქვათ, იმავე, გრიგოლ და ირაკ- ლი აბაშიძეების, ძმები ჭილაძეების, მესიკ ხარანაულის და სხვათა, მაგ- რამ, თუ მავანსა და მავანს მაინც წასძლევს სული და მისაყვედურებს (ან გულში ვაივლებს!), რაღა იმ „სხვათაში“ მომაცოლო, გავკადნიერდები და გან- თქმულ პოლემისტსა და ენავიკმატს, ცხონებულ ზესო უღენტს დავესესებო - დამშვიდდით, ბატონებო, თქვენ არც იმ „სხვათა“-ში არ მიველისხმისართო!

ხოლო, თუ უფრო სერიოზულად, მაშინ ან მე ვინ მომამუვა პოეტების „დახარისხების“ უფლება, ანდა რა სჭირდათ დაუსახელებლობის: ტიცი- ანს, პაოლოს, გაფრინდაშვილს, ჩი- ქოვანს, გრიშაშვილს, ნენეშვილს, მირცხუ- ლავას, აბაშელს, გაგუკიანიას, ხალვაშს, მარ- გიანს, ვაჩილაძეს, წერეთელს, გორგილაძეს, ჯაყელს, კოლასონიას, აბრამიშვილს, გექიშ- ვილს, ალხაბიშვილს, კუხიანიძეს, მოლაშხიას, მემურაშვილს, მამფორიას და, სამედნიეროდ, კიდევ ბარეონს?

ახლა კი დროა, წერილის სათაურს მივხე- დოთ. საჯარაულოდ, მკითხველს, ალბათ, აინტერე- სებს, რა შეაშია აქ „პოეზიის ხუთი წუთი“.

70-იანი წლების დასასრულს საქტელერადიოკო- მიტეტს თავმჯდომარეობდა ბატონი ნუგზარ ფოფხაძე. უნდა ითქვას სიმართლე: ეს არ ყოფილა თავმჯდო- მარეობა მხოლოდ. ეს გახლდათ ჭეშმარიტი მოლ- ვაჩეობა! იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, ბატო- ნი ნუგზარის თაოსნობითა და მისივე ავტორო- ბითაც, რამდენიმე ახალი პროექტით გადახალისდა რადიოსა და, მომეტებულად, ტელევიზიის პროგრამები. მათ შორის, მაყურებ- ლებში დიდი მოწონებით სარგებლობდა „პოეზიის ხუთი წუთი“.

პოპულარული ქართველი მსახიობები, როგორც იყვნენ: სერგო ზაქარაიძე, ვერვიკ ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე (ფონოგრამით), ერთი მანჯალაძე, ოთარ მელგინეთუხუცესი, ზინა კვერცხილაძე, გურამ საღინაძე, მურმან ჯინორია კითხულობდნენ ქართველი და უცხოელი პოეტების საუკეთესო ლექსებს... ახლაც ყურში ბორბავს საღარაძის მიერ მრწყევილად წაკითხული პეტრეს გრიგოლ აბაშიძისეული თარგმანი „მიყვარხარ, ძლიერ, ძლიერ“...

საოცარია, რატომ შეაქცია ხელისუფლებამ და - წაბადით - ახალგაზრდობამაც ზურვი თავისუფალ საქართველოში არათუ მხო- ლოდ პოეზიას, საერთოდ, ქართულ მწერლობას?! გასაგებია, რომ ეს ტენდენცია წინა ხელისუფლებიდან იღებს სათავეს, მაგრამ დღევანდელითვისაც მისაღები რატომ შეიქნა?! აბა, წარმოიდგინეთ, სამსახურიდან (თუ აქვს!) დამხრუნებული მოქალაქე უზის ღარიბულ სუფრას და უხალისოდ შეექცევა ჩაი- სსა და ხმელა პურს, ხოლო ტელევიზორში, მუსიკის ფონზე, გა- ისმის დიქტორის იმედიანი ხმა, რომ „კარფუში“ სიახლეა: კი- ლოგრაში წითელი ხიზილალის ფასია 199 ლარი!“

ამ დროს, იქნებ, ატობებდა ამის მოსმენა: „ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, ნადიდგორალი, ნამამქორალი!“ (მუხრან მა- ჭავარიანი) ან: „უფრო მეტი დავებდოს ერის მშვენი, ენის მშვენი!.. არ ჰყოფინდეს აკვ- ნებადაც შვილთა შენთა ტყენი შენი!“ (ზაურ ბოლქვაძე)...

გიზო ზარნაძე

P. S. მაინც რა ჯანდაბამ გამოითიშა და პოეტების ჩამონათვალში რა სიკვდილ- მა დამავინცა დიდი შოთა რუსთაველი!

მონატრებული „პოეზიის ხუთი წუთი“



როცა გული გნუალობს...

მადბასკა- რის პოლიციის მინისტრი სერჟ ჟელე, რომლის ვერტმფრენიც ოკეანეში ჩავარდა, 12 საათი მი- ცურავდა ნაპი- რამდე, სადაც ის მეთევზეებმა გა- დაარჩინეს.



ვერტმფრე- ნი, რომლის ბორტზეც 57 წლის მინის- ტრი და კიდევ სამი ადამიანი იმყოფე- ბოდა, 20 დეკემბრის საღამოს ჩამო- ვარდა. მინისტრის განცხადებით, მას სამაშველო ჟილეტი არ ჰქონდა და წყლის ზედაპირზე მხოლოდ პილოტის სავარძლის გამოყენებით ტივტივებდა. რამდენიმე საათში ის ზღვაში გასულმა მეთევზეებმა გადაარჩინეს.

შუთქოვლების თეორია პირველი ლელის ნინააღაძე

საფრანგე- თის პირველი ლელი, ბრიჯიტ მაკრონი სარჩელს ამზადებს იმ ჭო- რების გამო, რომ- ლის თანახმად, თითქოს ის ტრან- სგენდერია. ამის შესახებ მისმა ად- ვოკატმა, ჟან ენო- შიმ განაცხადა.



კონკრეტულად ვის ნინააღაძე იგეგმება სარჩელის შეტანა, ამ ეტაპზე უცნობია. ინტერნეტში ფართოდ გავრცელდა შეთქმულების თეორია იმაზე, რომ ბრიჯიტ მაკრონი ვაცად დაიბადა და მისი ნამდვილი სახელი ჟან-მიშელ ტრონიოა. პირველად მსგავსი ჭორი სექტემბერში ულტრამემარჯვენე ვებ- გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში გაჟღერდა. ამის შემდეგ თეორიები მომხრეებმა, ანტივაცსერებმა და უკო- დურესად მემარჯვენე აქტივისტებმა ეს თეორია იუთუბ-ტრანსლაციის დროს განიხილეს, რის შემდეგაც მასზე წერა სოციალურ ქსელებში დაიწყეს. 68 წლის ბრიჯიტ მაკრონი და საფრან- გეთის პრეზიდენტი ქორწინებაში 2007 წლიდან არიან. ბრიჯიტ მაკრონს პირ- ველი ქორწინებიდან 3 შვილი ჰყავს.

როგორ ხანის არცაფაქტები ზღვის უსაქრზე

ისრაე- ლის ხმელ- თაშუა ზღ- ვის სანაპი- როზე არქე- ოლოგებმა იპოვეს რომ- ბული ეპო- ქის ოქროს ბეჭედი, რომელზეც „მწყემსი კეთილია“ გამოსახული.



ისრაელის სიძველეთა სამსახურის ინფორმაციით, ქრისტეს მეტაფორულ განსახიერება ოქროში ჩასმულ ქვა- ზეა ამოკვეთილი. ბეჭედი ერთ-ერთია იმ არტეფაქტებს შორის, რომლებიც უძველესი ქალაქის - კესარიას პორ- ტთან ჩაძირულ ორ გემზე აღმოაჩინეს. წყალში იპოვეს ვერცხლისა და ბრინ- ჯაოს ასობით რომაული მონეტა III სა- უკუნის შუა ხანებიდან და ვერცხლის მონეტები, რომლებიც ადრეულ XIV სა- უკუნეში, მამლუქების სასულთნოს ეპოქაშია დამზადებული. გემების კორპუსების ნაშთები და მათში განთავსებული ტვირთი სანაპი- როსთან ახლოს, დაახლოებით 4 მეტ- რის სიღრმეზე, ზღვის ფსკერზე მიმო- ფანტული ნახეს.

ვარიანტი

ნისლიან კლბიონზე?



„ხეივანს მომავალი? ის რჩება. თუ 20 მილიონ ევროს გადაიხდიან, უარს ვერ ვიტყვი“... ციტირებს რუსული პრესა საიმანოვის სიტყვებს.

„ხეივანს მომავალი? ის რჩება. თუ 20 მილიონ ევროს გადაიხდიან, უარს ვერ ვიტყვი“... ციტირებს რუსული პრესა საიმანოვის სიტყვებს.

20 წლის ქართველ ფეხბურთელს ბოლო პერიოდში აქტიურად უკავშირებენ ინგლისურ კლუბებს — „ვესტ ჰემს“, „ვეერტონსა“ და „საუთჰემპტონს“... თუმცა, ჯერჯერობით გარკვეული არაფერია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ხეივა კვარაცხელიამ ყველა ტურნირზე ჩატარებულ 17 მატჩში 1 ბურთი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა. მას „რუბინთან“ კონტრაქტი 2024 წლის 30 ივნისამდე აქვს გაფორმებული.

საზონის ფინიში

3X3 კალათბურთში ზამთრის სერიები გრძელდება. WinterCup 2021-ის სენიორთა მორიგ ტურნირს ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა, სადაც გვარიანი მოულოდნელობა დაფიქსირდა. გუნდმა Jeba-მ, რომლის გამწვევი ძალა ირაკლი ჯემაბაშვილიცაა, ყველა თამაში მოიგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა. ეს გუნდი არ მიიჩნეოდა წარმატების გამორჩეულ კანდიდატად. Jeba-მ ფავორიტი Scosby, რომელიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონია, ფინალურ მატჩში 21:11 დაამარცხა.

საბა ებელაშვილი, ვახტანგ გუგულაშვილი და რევაზ ხაჩიძეც ღირსეული ჩემპიონები არიან, თუმცა Jeba-ს გამარჯვებაში ირაკლი ჯემაშვილის წილი მეტად განსაკუთრებულია. კალათბურთელი, რომელმაც გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის გუნდში გასულ წელს სტუდენტური ლიგა მოიგო და ამ სეზონში „ლიგაში“ გადმოვიდა, ყველა მატჩში გამორჩეული იყო. სამქულიანებით, სწრაფი გარდევებითა და აცილებული ბურთების მოხსნით ჯემაშვილი ყველა ოპონენტზე დიდ უპირატესობას ფლობდა. ყველა კომპონენტში ის თავის გუნდს ლიდერობდა და დამსახურებული გამარჯვებით ტურნირის ფინალამდე მივიდა, სადაც საქართველოს მოქმედ ჩემპიონს, რომელიც მცირე ცვლილებებით თამაშობდა, შანსი არ დაუტოვა.

ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ტრადიციული ფორმატით, 4 ჯგუფში გადანაწილდა. ჯგუფების პირველადგილოსნები პლეი ოფში გავიდნენ. ნახევარფინალურ მატჩებში Scosby-მ Old School-ს 16:15 დაამარცხა, ხოლო Jeba-მ Easy-ს იოლად მოუგო — 20:14. ფინალურ მატჩში ბრძოლა არ შედგა. როგორც მოგახსენებთ, Jeba-მ ირაკლი ჯემაშვილის ლი-



ჯეხას მადლი

დერობით 10 ქულის სხვაობით — 21:11 გაიმარჯვა და ტურნირის საპრიზო ფონდიდან 500 ლარს დაეპატრონა. 300 ლარი ერგო ფინალში დამარცხებულ Scosby-ს (მამუკა ბაზუაშვილი, დავით დადუნაშვილი, ირაკლი გლუნჩაძე).

გამარჯვებულები ტურნირის ორგანიზატორის, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3X3 დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიგა გურგენიძემ დააჯილდოვა. WinterCup 2021-ის მორიგი ტურნირი, რომელიც მიმდინარე წელს ბოლო იქნება, 18-წლამდელთა შორის კვლავ ოლიმპიურ სასახლეში დღეს გაიმართება.

ჩაგვირთა ლიგა

ვსნავლობთ და ვსნავლობთ

„დინამო თბილისმა“ წყალბურთში ჩემპიონთა ლიგაზე მორიგი მატჩი საკუთარ მოედანზე სერბული „ნოვი ბეოგრადის“ წინააღმდეგ ჩატარა.

დეიან სტანოივიჩის გუნდმა გამოცდილ მეტოქეს განსაკუთრებული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 8:17 დამარცხდა. სტუმრები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, რომელიც ხელიდან თამაშის ბოლომდე არ გაუშვიათ. უნდა ითქვას, რომ „ნოვი ბეოგრადმა“ ოთხივე პერიოდი თავისი სასარგებლოდ დაასრულა.

„დინამოს“ შემადგენლობაში დუბლი სამმა წყალბურთელმა შეასრულა — ანდრია ბი-თაძემ, ვალიკო დადვანმა და დუშან ვაშიჩმა, ხოლო თითო ბურთი რევაზ იმნაიშვილისა და მარკო ელაჩას ანგარიშზეა. „ნოვი ბეოგრადში“ 3 გოლი გაიტანა ქართველმა წყალბურთელმა ნიკა შუშიაშვილმა, რომელიც მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

„დინამო თბილისს“ 6 ტურის შემდეგ ქულა არ მოუპოვებია

და A ჯგუფში ბოლო, მერვე ადგილზეა. მომდევნო მატჩს ქართული გუნდი 11 იანვარს შინ უნგრულ „ფერენცვაროშთან“ გამართავს.


„დინამო თბილისი“ — „ნოვი ბეოგრადი“ 8:17 (2:5, 2:3, 2:5, 2:4)

გოლები: 0:1 ვლახოპულოსი, 0:2 მანდიჩი, 0:3 ვუჩინიჩი, 1:3 ბი-თაძე, 1:4 მარტინოვიჩი, 2:4 და-

ვანი, 2:5 იაკსიჩი, 2:6 ვლახოპულოსი, 3:6 ბი-თაძე, 4:6 ვაშიჩი, 4:7 პერკოვიჩი, 4:8 დრასოვიჩი, 4:9 გოგოვი, 4:10 შუშიაშვილი, 5:10 დადვანი, 5:11 შუშიაშვილი, 6:11 ელაჩა, 6:12 მანდიჩი, 6:13 ვლახოპულოსი, 6:14 რაშოვიჩი, 6:15 რაშოვიჩი, 7:15 ვაშიჩი, 7:16 შუშიაშვილი, 8:16 იმნაიშვილი, 8:17 დრასოვიჩი.



ამის კვალზე



შუმახერი რეზერვშია

ლებიც ფორმულა E-ს როლებს არ დაემთხვევა.

„როცა ჯოჯინაცი ჩვენთან ერთად ტრეკზე იქნება, ის რეზერვში გვეყოლება. გარდა ამისა, იმავე მოვალეობას ჩვენს პარტნიორ გუნდებში, „ჰასასა“ და „ალფა რომეოშიც“ შეასრულებს, დანარჩენ 11 როლაში კი ჩვენი სარეზერვო პილოტი მიკ შუმახერი იქნება“, — ამბობს ბინოტო.

ჯოჯინაციის გარდა, „ჰასას“ საკუთარი სარეზერვო პილოტიც ჰყავს — პიეტრო ფიტიალდი, ვინც 2020 წელს ბაჰრეინში რომენ გროჟანის ცეცხლოვანი ავარიის შემდეგ მისი ადგილი ორჯერ დაიკავა. რაც შეეხება „ალფა რომეოს“, მისი ძირითადი სარეზერვო პილოტი რობერტ კუბიცია.

22 წლის შუმახერმა გასულ სეზონში ასევე დებიუტანტი ნიკიტა მაზეპინი დაჯაბნა, თუმცა აუტსაიდერ „ჰასას“ ქულები ვერცერთმა მოუპოვა. ამერიკულმა გუნდმა მთელი თავისი რესურსი 2022 წლის სეზონისთვის მოსამზადებლად მიმართა.

ფორმულა 1-ის შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონის მიხაელ შუმახერის შვილი მიკ შუმახერი მომავალი სეზონიდან „ფერარის“ სარეზერვო პილოტის როლსაც შეითავსებს. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატში იგი კვლავ „ჰასასთან“ ერთად იასპარეზებს.

„ფერარის“ შეფ მატია ბინოტოს თქმით, შუმახერი რეზერვში 11 როლაში იქნება, დანარჩენ 12 როლაში კი ამ მოვალეობას იტალიელი ანტონიო ჯოჯინაცი შეასრულებს. ჯოჯინაციმ გასული სეზონის ბოლოს „ალფა რომეოში“ ადგილი დაკარგა და ფორმულა E-ში გადაინაცვლა. ის „ფერარის“ რეზერვში იმ როლებში იქნება, რომ-

64

რჩეული ატიულები და ანოსანები



ჩაღჩაიის სიაჟონია

როგორც სიყვარულში, როგორც მუსიკაში, ჭადრაკშიც მიმაღულია ძალა, რომელსაც ადამიანებისთვის სიხარული მოაქვს!

ამ ბრწყინვალე აზრის ავტორი გახლავთ გერმანელი დიდოსტატი, XIX-XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო პირველობის პრედენდენტი ზიგბერტ ტარაში (1862-1934), რომლის შესახებ პირველი მსოფლიო ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი წერდა: „ტარაში ჭადრაკის უდიდესი გენიოსია, რომელიც ოდესმე არსებობდა“.


მრავალი მუსიკოსი „დაავადებულია“ ჭადრაკის ტრფიალით. საკმარისია გავიხსენოთ სასიქადულო მამულიშვილი, მსოფლიო ტენორი, ბატონი ზურაბ ანჯაფარიძე. შეკითხვაზე, თუ რა სფეროში

გააგრძელებდა მოღვაწეობას, მომღერალი რომ არ ყოფილიყო, ბატონმა ზურაბმა უპასუხა — გავაკეთებდი იმას, რაც ძალიან მიყვარს — სკოლაში ბავშვებს ჭადრაკის თამაშს ვასწავლიდი.

ბევრმა არც კი იცის, რომ საზოგადოებისთვის ცნობადი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, ბატონი რევაზ ტაკიძე მოცალოების დროს საჭადრაკო ეტიუდებს ადგენს და ლექსებითაც გამოხატავს თავის მრწამსს.

მოკრძალებით გთავაზობთ მის ერთ-ერთ ნაწარმოებს:

„მუდმივი ქვეყნად არაფერია, არ გვინდა ახლა ვაი და ვიში, თუკი ვიპოვით ერთადერთია, ქვეყნად მუდმივი — „მუდმივი ქიში“.



ბატონმა რევაზმა ეს მუნასიბი უფროს მეგობარს, მუსიკის შესანიშნავ თეორეტიკოსს და ცნობილ პუბლიცისტს, ბატონ გულბათ ტორაძეს მიუძღვნა.

მომამბადა თაგაზ შანგულიამ

მონაქვი აღასტურებენ, რომ უშუალოდ მათ გადასცეს პატარაკაცივილის სააკაშვილის მუქარა...

ბადრი პატარაკაცივილის ქონების მიტაცების საქმეზე დაკითხულია 150 ადამიანი, თუმცა კვლავ გრძელდება მტკიცებულებების გამოკვლევა. ამ 150 პირში მოიაზრება პატარაკაცივილის ოჯახის წევრები, მისი მეგობრები — ყველა ის პირი, ვინც მასთან ბიზნეს ურთიერთობებში იყო. ეს პირები ცალსახად ადასტურებენ, რომ სააკაშვილის 2006 წლიდან მოყოლებული ჰქონდა ინტერესი ბადრი პატარაკაცივილის ქონებისადმი და განსაკუთრებული ინტერესი მას „ტელევიმედის“ მიმართ ჰქონდა გამომდინარე იქიდან, რომ იმ ეტაპზე „ტელევიმედი“ ერთადერთი დამოუკიდებელი ტელევიზია იყო, — ამის შესახებ პროკურორმა, ლაშა ცხვიტარიამ გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა.

მისივე თქმით, ის სიუჟეტები, რომელიც გადიოდა „ტელევიმედზე“, სააკაშვილისთვის პირადად მიუღებელი იყო.

„მონაქვი აღასტურებენ, რომ უშუალოდ მათ გადასცეს ბადრი პატარაკაცივილის სააკაშვილის მუქარა, რომ თუკი ის არ დათ-



მოზდა „ტელევიმედს“, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და დასაქართველოში არსებულ მის ყველა ბიზნესს შეექმნებოდა პრობლემა, რაც შემდეგში განხორციელდა კიდევ ბადრი პატარაკაცივილის გარდაცვალებიდან ზუსტად 1 კვირაში, პატარაკაცივილის ნდობით აღჭურვილი პირი სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა მიიყვანეს კონკრეტულ ნოტარიუსთან და იძულებს წესით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მონაწილეობით, მოხდა „ტელევიმედის“ ძირითადი წილების გადაფორმება, რომლის ღირებულება დაახლოებით რეალურად 50 მილი-

ონი იყო. ამ პირმა კი იძულების პირობებში დათმო 420 000 დოლარად. ეს ადამიანი ასევე გაიტაცეს ფინანსური პოლიციის შესაბამისმა სამსახურებმა. მის მიმართ განხორციელდა მუქარა. კერძოდ, ის მიაბებს გამათბობელზე და მანამ არ გაათავისუფლეს, სანამ ხელი არ მოაწერა შესაბამის ხელწერილს, რომლითაც ის თმობდა გარკვეულ პოზიციას „ტელევიმედში“, — განაცხადა პროკურორმა.


მისივე თქმით, ბადრი პატარაკაცივილის ოჯახმა 2008 წელს მიმართა საერთაშორისო არბიტრაჟს და ზიანისთვის, რომელიც მათ მიადგათ, სახელმწიფოსგან 400 მილიონი დოლარი მოითხოვეს.

„მას შემდეგ, რაც სახელმწიფო რეალურად დადგა დავის წაგების საფრთხის წინაშე, სააკაშვილის განკარგულებით, მის მიერ მინდობილმა პირმა, საუბარია იუსტიციის მინისტრის მოადგილეზე, აღიარა სხენებული ქონების წართმევის ფაქტი და პატარაკაცივილების ოჯახთან გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი, რომლის საფუძველზე მათ დაუბრუნდათ ყველა წართმეული ქონება, გარდა „ტელევიმედისა“. მნიშვნელოვანია, რომ სხენებულ მემორანდუმს სააკაშვილმა კანონმდებლობის უხეშად დარღვევით გრიფით საიდუმლო მიანიჭა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოებისთვის არ გამხდარიყო ცნობილი ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ“, — განაცხადა პროკურორმა.

50 დღის ნაშინილარი სააკაშვილი 2 საათი გაუჩივრებლად ლაპარაკობდა და როდესაც 7 ნოემბერზე დაუსვენებელი დავიდა და დასვენდა. პასუხს გაეცა. ასეთ დროს როგორ შეიძლება თანამშრომლობა შედგეს, როდესაც აბუჩად იგდებ სასამართლოს. ორი საათი რომ საკუთარ ღირსებებზე ლაპარაკობ, შემდეგ კითხვას არ სცემ პასუხს, ან არაადეკვატური ხარ, ან არაგულწრფელი, — ამის შესახებ ქუთათელ-გა-

ენათელმა მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა.

„ჩემი აზრით სააკაშვილი ის ფსიქოტიკი, რომელიც დანაშაულს ვერც ხედავს. ის თვლის, რომ რასაც ის აკეთებს ყველაფერი კარგია, ყველაფერი სასიკეთოა. იმ სასულიერო პირებთან საუბრისას, რომლებიც სააკაშვილს უჭერენ მხარს, როდესაც საუბარი მიდის არგუმენტებამდე, ისინი ჩუმდებიან“, — განაცხადა მეუფე იოანე.



გია ვოლსკის განცხადებით, „შემიძლია სააკაშვილის მონოდება მის მიერ წამოწყებული საქციების წარუმატებლობამ მოიტანა“.

„ეს პროპაგანდა მიმართულია იქით, რომ საზოგადოებამ დაიჯეროს, თითქოს გარკვეულ დიდ მიზანს ემსახურება სააკაშვილის მომსახურება მაშინ, როცა მას თავისი ხედავს და პოლიტიკური გზა აქვს. ადრე, მისივე სააკაშვილის მოუწოდებდნენ, შემიძლია არ შეენწყვიტა და მისი ძალისხმევა წყალში არ ჩაეყარა. კონკრეტული ტელევიზია ამის ყოველდღე

გია ვოლსკი: საზოგადოების დიდი ნაწილი ხელავს, სად არის გაღარგენის საშუალება და როგორი ძალაა დანტრუქციის მოხსრა

მაჰათმა განდი ახალი ფიგურაა, რომელიც სააკაშვილთან გათანაბრებაში შემოიტანეს, როგორც ახალი ლეგენდა. აქამდე, ჯორჯ ვაშინგტონი, დავით აღმაშენებელი, ლუარსაბ მეფე და ბევრი სხვა გვყავდა, ახლა მაჰათმა განდის თემამ წამოიწია და ისტორიული პარალელების გავლენა ხდება, — ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

მან კომენტარი გააკეთა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე, სადაც ის შიმში-

ლობის ფორმის ეფექტურობაზე საუბრობს და ამბობს, რომ „მასობრივი შიმშილობების შედეგად, მაჰათმა განდი ინდოეთს დამოუკიდებლობა მოუპოვა, მან დელამ და მისმა თანამებრძოლებმა კი, აპარტიდო ჩამოშალეს“.

„ეს პროპაგანდა მიმართულია იქით, რომ საზოგადოებამ დაიჯეროს, თითქოს გარკვეულ დიდ მიზანს ემსახურება სააკაშვილის მომსახურება მაშინ, როცა მას თავისი ხედავს და პოლიტიკური გზა აქვს. ადრე, მისივე სააკაშვილის მოუწოდებდნენ, შემიძლია არ შეენწყვიტა და მისი ძალისხმევა წყალში არ ჩაეყარა. კონკრეტული ტელევიზია ამის ყოველდღე



აუღერებდა. სააკაშვილის მონოდება, რომ იშინილეთ და როგორმე აქედან დაიხსენით, იმ შედეგიდან გამომდინარეობს, რომელიც მის მიერ წამოწყებული საქციების წარუმატებლობამ მოიტანა. საზოგადოების დიდი ნაწილი ხედავს, სად არის გაღარგენის საშუალება და როგორი ძალაა დანტრუქციის მოხსრა. შედეგია ის, რომ მუდმივი პროცესი არ დაეარდეს და როგორმე, სააკაშვილი თავის ჩადენილ დანაშაულზე ოთხ კედელში არ ჩავარდეს“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.



სანთელი

თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძობს ნანი ბულისკერიას მამის,


ვალვა ბულისკერიას

გარდაცვალების გამო.

რუსეთის ქმედებებმა ვეროკავშირის უსაფრთხოება მკვეთრად დააზარალებს

რუსეთის ქმედებებმა, კერძოდ ყირიმის უკანონო ანექსიამ, მისმა როლმა უკრაინის აღმოსავლეთით კონფლიქტის გაღვივებაში, ასევე რუსეთის ქმედებებმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და დნესტრისპირეთის რეგიონში, ასევე ლუკაშენკოს რეჟიმის მხარდაჭერამ, ევროპაში უსაფრთხოების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია, — განაცხადა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჟოზეფ ბორელმა.

„ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს ევროპის უსაფრთხოებას, რომელიც ევროპული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ძირითად პრინციპებს ეფუძნება. დღეს ევროპის უსაფრთხოება საფრთხის ქვეშაა. სულ ცოტა ხნის წინ, რუსული ძალების გაძლიერებამ უკრაინის საზღვართან და უკანონოდ ანექსირებულ ყირიმში ახალი საფრთხეები და შეჭრის შიში გააჩინა“, — ნათქვამია განცხადებაში. ჟოზეფ ბორელის თქმით, პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად, ევროკავშირმა მკაფიოდ დაადასტურა, რომ მტკიცედ უპასუხებს უკრაინის სუვერენიტეტის ნებისმიერ შემდგომ დარღვევას.



ნატო უკრაინის დასაცავად ემზადება

უკრაინის საზღვართან რუსეთის ძალების გადაადგილების გამო, ნატომ სწრაფი რეაგირების ძალების საბრძოლო მზადყოფნა გაზარდა. ინფორმაციას ამის შესახებ გერმანული გამოცემა Die Welt-ი დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

წყაროების ინფორმაციით, ნატოს ძალიან მაღალი მზადყოფნის გაერთიანებული ოპერატიული ჯგუფი კრიზისულ რაიონში განლაგებისთვის 5 დღის განმავლობაში უნდა იყოს მზად. გარდა ამისა, სწრაფი რეაგირების ძალების სხვა დანაყოფები, მათ შორის სპეციალური დანიშნულების ძალები, ასევე საბრძოლო მზადყოფნაში არიან მოყვანილი. ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ შესაბამისი გადანაცვლებას გასულ კვირას მიიღო. ამასთან ერთად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთს მოუწოდა, შობის წინა დღეს ჯარები გაიყვანოს უკრაინის საზღვრებიდან და ამით რეგიონში დაძაბულობა შეამციროს. ოფიციალურ მოსკოვს აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მშვიდობიანი დასვენების პერიოდი. მისი თქმით, ეს ასევე ეხება პატარა ერების სუვერენიტეტის პატივისცემას.



ევროკავშირის პოლონეთის წინააღმდეგ

ევროკავშირის პოლონეთის წინააღმდეგ სამართლებრივი დავა დაიწყო. საქმე ეხება პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომელმაც ქვეყნის კონსტიტუციის ევროკავშირის კანონმდებლობაზე უპირატესობა დაადასტურა.

„კომისია მიიჩნევს, რომ პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები არღვევს ევროკავშირის სამართლის ავტონომიის, უზენაესობის, ეფექტურობისა და ერთგვაროვანი გამოყენების ზოგად პრინციპებსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების საგადადებლო ძალას. ევროკომისიას სერიოზული ეჭვები აქვს პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუყვებლობასთან დაკავშირებით“, — ნათქვამია ევროკომისიის განცხადებაში.

ი. ჟორდანის და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძოლებს მუშაობას მისამართით: თიანეთის მღვდლის, 13 ა. VIII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98.

მალი გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებაში. გისურვებთ ჯანმრთელობას!

საუკეთესო ღვინო ქართული უპრეცედენტო ღამეებზე



„ღაღინიწაში საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი – ყურძენი, რომელიც საუკეთესო ვეროპული ღვინოების დასამზადებლად გამოიყენება, შესაძლოა, იყოს დასავლეთ აზიის ქვეყნიდან, საქართველოდან, სადაც, როგორც კვლევებით დგინდება, ვენახები 8000 წელია არსებობს“, –

ვკითხულობთ Daily Mail-ის სტატიაში. ავტორი წერს, რომ იტალიელმა მეცნიერებმა საქართველოში ვაზის 204 გენომი გააანალიზეს და დაადგინეს, რომ ის დასავლეთ აზიაში მოიშინაურეს.

„ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ყურძენის ჯიშები, რომლებიც გამოიყენება ისეთ ღვინოებში, როგორებიცაა Sauvignon Blanc-ი, Merlot-ი, Chardonnay-ი და Pinot Noir-ი, სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება. ამ მოშინაურებას კი, საქართველოსა და ევროპის ყურძენების ჯიშებთან შეჯვარებებიც მოჰყვა“, – წერია სტატიაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ, დასავლეთ აზიიდან, ყურძენის სახეობები, მიგრაციისა და საზღვაო ვაჭრობის გზით, ევროპაშიც გავრცელდა და ეს ფაქტი ეწინააღმდეგება აქამდე არსებულ თეორიას, რომლის მიხედვითაც, ევროპული ღვინოები თავად კონტინენტზე არსებული ველური სახეობების ჯიშთაშორისი შეჯვარების შედეგია. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ადამიანისა და ვაზის ურთიერთობა ნეოლითის ხანიდან დაიწყო და რომ კულტურული ვაზისა და ღვინის უძველესი კვალი აღმოჩენილია ნეოლითური ხანის ნამოსახლარებში – შულავერისა და გადაჭრილ გორებზე.

საპირი ავტოფარეხის ნახევალ

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, მუხიანის მესამე მიკრორაიონის №12 საცხოვრებელ კორპუსთან სკვერი მოეწყო. ამ მისამართზე, მოსახლეობის ინიციატივით, 14-მდე ავტოფარეხის დემონტაჟი განხორციელდა, გლდანის რაიონის გამგეობამ კი, სკვერი მოაწყო.



თბილისის მერიის ცნობით, პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე მოეწყო ბავშვთა გასართობი და დასასვენებელი ზონა, მოსასვენებელი პავილიონები, დამონტაჟდა გარე განათებისა და სარწყავი სისტემები. ჩატარდა გამწვანების სამუშაოები – დაირგო ხეები და დაითესა ბალახი. ასევე, განთავსდა სკვერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მოიხატა კედლები. ამ სამუშაოებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 131 806 ლარი დაიხარჯა. ასევე, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები მოსახლეობის ინიციატივით, გამგეობასთან ურთიერთთანამშრომლობის მეორხედული გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც, მოსახლეობა თავის მხრივ, პროექტის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ, სკვერის გაფორმებისასა და მოვლა-პატრონობაში ჩაერთვება.


აპროტესტებზე საფეხურით ბაზის მუშაობას



ღიღი ღიღის მე-2 მიკრორაიონში მოსახლეობის ნაწილი ფეხბურთის ფედერაციის მიერ საფეხურით ბაზის მუშაობას აპროტესტებს. ადგილობრივების განცხადებით, ტერიტორია, სადაც ბაზა შენდება, მათი უბნის რეკრეაციული ტერიტორიაა. მათი თქმით, ფედერაცია დახურული ტიპის ბაზას აშენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ვერც ბაზის ტერიტორიაზე არსებული სტადიონით ისარგებლებს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ მათ ბაზის მუშაობის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი აქვთ შეტანილი, რომელზე გადანყვეტილებაც ჯერ არ დამდგარა. ამდენად, ისინი ტერიტორიაზე მუშაობის გაგრძელებას უკანონოდ მიიჩნევენ და სამართალდამცველებს მის შეჩერებას სთხოვენ.

ქართველი ნაგებულნი - ღირსი მამანი და დედანი

24 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენებს ყველა იმ წმინდანს, რომელიც საქართველოში ეწამნენ. საქართველოს ისტორიის ფურცლების გადახედვისას, ასევე ჰაგიოგრაფიული ძეგლების გაცნობისას, გვებადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომელია მათი (წმინდანთა) რაოდენობით.



უამრავი ქართველი ეწამა ქრისტესთვის, ეკლესიისა და ერის მომავლისთვის!

სწორედ ამის გამო წერია 24 დეკემბრის მოსახსენებელში, რომ საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოდ, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი მამათა და დედათა ქართული წარმოშობის სახელები (ასეთი სამასამდეა)!

საქართველოს ყველა ტაძარში, ტრადიციისამებრ, საზეიმო წირვის შემდეგ ამბიონიდან მღვდელი ასე მიმართავს ტაძარში მყოფთ: დღეს ყველა თქვენგანის, რა სახელსაც არ უნდა ატარებდეთ, თითოეული

ადამიანის დღესასწაულიაო, ლოცავს მრევლს, ხოლო მგალობელთა გუნდი „მრავალჟამიერს“ გალობს!

P. S. ქრისტიანო, შეგვეწიოს წმინდანთა მეოხეობა!

ხვალ, 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორის აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღეს! გიული ლიპარტია

კოვიდ-19-ის პანდემია 2022 წელს უნდა დასრულდეს!

ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ტედროს ადანომ გებრეისუსმა განაცხადა.

„2022 წელი კოვიდ-19-ის პანდემიის დასასრული უნდა იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ ორი წელი ამ ვითარებაში ვართ, ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ვირუსს და გვაქვს ყველა იარაღი“, – განაცხადა ტედროს ადანომ გებრეისუსმა. მისი თქმით, ვაქცინის არსებული მარაგი საკმარისია იმისთვის, რომ 2022 წლის პირველი ნახევრისთვის მსოფლიო მოსახლეობის ზრდასრული ნაწილი სრულად აიცრას, ასევე ვაქცინის მარაგი საკმარისია რისკჯგუფებში მყოფი ადამიანების ბუსტერ დოზით აცრისთვის.



„თუ ჩვენ არ ავცრით მთელ მსოფლიოს, ვფიქრობ, პანდემიას ვერ დავასრულებთ“, – განაცხადა მან.

საბერძნეთში ქალაქი მილიონი ევრო დაეხმარა ეპიდემიის დასრულებას...

90 წლის მოხუცმა ქალმა თავისი მთელი ქონება დამხმარე ქალსა და მის ქმარს დაუტოვა. საუბარია ერთ მილიონ ევროზე აღნიშნული საბერძნეთში მოხდა. დამხმარე ქალი მოხუცს უკანასკნელ წლებში უწვლიდა. ბერძნული მედიის ცნობით, გარდაცვლილის ახლობლები ანდერძის გასაჩივრებას გეგმავენ.

ანდერძის ბოლოს არის მინანური, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ მოხუცმა ხელმოწერა ვერ შეძლო, რადგან ხელები აუკანკალდა. ამის გამო ანდერძის ნამდვილობას ოჯახი ეჭვქვეშ აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ანდერძი სამი მონის თანდასწრებით შედგა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24.

გამომცემელი: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35. შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79. იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3.

კოდონ ჰაუფი. uac(უაკ)070.4(479.22) ს-323. 2 009882 616932. ავტორთა სახურადლეზოდ! რედაქციის მხარე შეუპოვებელი მასალაზე დაიბეჭდება. ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხვითა და პასუხს ავბავან ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გაეცა ირუბათს, 27 დეკემბერს.

საქართველოს რესპუბლიკის მისამართები: აპოლონი - 3.0939; პირი - 3.4946; ბრეტანული პირი სტარლინი - 4.1183; 100 რუბლი - 4.1962; თურქული ლირა - 0.2463; ანკარაპირი მანათი - 1.8181; 1000 სომხური დრამი - 6.4573.

Table with exchange rates for various currencies: აპოლონი 24 დეკემბრისთვის. ბარი - ლარი -8, დოლარი +3; თურქული ლირა - ლარი -13, დოლარი -2; ანკარაპირი მანათი - ლარი -5, დოლარი +4; თურქული ლირა - ლარი -10, დოლარი 0; თაილანდი - ლარი -5, დოლარი +2.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84. ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge. ვებ-გვერდი: www.sakresp.ge